სახალხო ფურცელი

№ 769 ხუთშაბათი, 12 იანვარი 1917 წ. № 769

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კაპ., უკანასკნელზე—20 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—40 კ., უკან—20 კაპ., ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 6 მან., 20×2 ღირს 8 მან., 25×2 ღირს 10 მან. 3 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „ქართლში“ პუშკინისა და ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახლი ძველი სასულიერო სემინარიისა და ეღირება ერთი მანეთით მეტი,

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო ფურცლის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: **Тифлисъ „Сахалхо Пурцели“, поч. ящ. 190.**

ტელეფონი 12—29

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისთვის გაზეთ

„სახალხო ფურცელზე“

გაზეთი სურათებიანი დამატებით ღირს წელიწადში 15 მანეთად, ნახევარი წლით 8 მანეთად, სამი თვით 3 მ. 75 კ.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, სახალხო ფურცლის რედაქცია, სასახლის ქუჩა, № 6 **Тифлисъ, редакція „Сахалхо Пурцели“ поч. ящ. 190.**

იანვრის 10-ს, ქ. განჯაში გარდაიცვალა ტფილისის საოლქო სასამართლოს წევრი და საზოგადო მოღვაწე

ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე
ტარსაიძე,

რასაც აუწყებენ მიცვალებულის პატივისმცემელნი მისნი ნათესავნი და მეგობარნი. მიცვალებულს სადგურზე გამოასვენებენ დღეს, იანვრის 12 საღამოს სრულ 4 საათზე, ტფილისის რკინის გზის სადგურიდან ქვაშვეთის ეკლესიაში; აქვე საღამოს 6 ს., გადახდილ იქნება პანაშვიდი. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 33

10 იანვარს ამა წელს გარდაიცვალა სამსახურს გარეშე მყოფი სამხედრო **მღვდელი**

იაკობ ილიას ძე ჯავაშვილი

რასაც აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგთ განსვენებულისას ღრმად დამწუხრებული **მისი ასული ივლიტა, და ნინო ილიას ასული, ძმა დავით ილიას ძე მეუღლით ანნა იოსების ასულით და შვილით ირაკლით ჯავაშვილები.** პანაშვიდები ყოველ დღე საღ. 7 საათ. გამოსვენება ბინიდან პანასკვიჩის ქ. სახ. 46, შაბათს 14 იანვარს დილის 10 ს. ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, დაკრძალვა 16 იანვარს ს. ახანურში სიღნაღის მაზრა სადგური წნორის-წყალი კახეთის რკ. გზა. 31

14 იანვარს ნინოობას

ახალ კლუბის დარბაზში გაიმართება

ტრადიციული საღამო
ტფილისის ქართველ ქალთა საზოგადოებისა

შემდეგი პროგრამით:

I
სამშობლოს
უკანასკნელი სურათი.

II.
რუსთაველის
მეორე მოქმ.

III
პატარა კახის
მეორე მოქმედება.

IV
აპოთეოზი
ქეთევან დედოფლის დაწვა.

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი დავითაშვილი, ქ. ქოძე, ქილარჯიშვილი, შოთაძე, ჯავახიშვილი, ბ-ნნი იმნაძე, გვარაძე, ზარდალიშვილი, ფრონისპირელი. **დასაწყისი საღამოს 8 საათზე ბილეთები იყიდება დილით „სახ. ფურც.“ კანტორაში და საღამოთი „ძმურ ნუგეშში“.** 1009

ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი № 163, საზამთრო შენობა).

დღეს, 12 იანვარს, 1917 წელს.

რუსის არტისტთა დასი ბაუშევს ხელმძღვანელ. წარმოადგენს

თაგვის ბრალია

კომედია 1 მოქმ.

2. **ნუ იჭვიანო**
ხუმრობა 1 მოქმ.

3. **სიყვარულის ანბანი**
ოპერეტი 1 მ. **დუსურის** მონაწილ.

დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე. წარმოდგენაზე შესვლა უფასოა. სტუმრები საზოგადო წესით. 1002

ტფ. ქართულ ფილარმონიულ საზოგ
სამუსიკო სკოლა

მოწაფეები მიიღებიან 4 იანვრიდან

ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10—2 ს. და საღ. 5—7 ს.-დე
სწავლა დაიწყება 7 იანვრიდან.
მისამართი: სლეპცოვის ქ. № 4. 1455

ღარიბ მოწაფეთა შემწე
ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების წევრთა
საგანგებო კრების
გაგრძელება

დანიშნულია 13 იანვარს, 1917 წ., საღამ. 8 ს., დეპუტატთა საკრებულოში.

განსახილველია: 1) მოხსენება კომისიისა, რომელსაც დავალებული ჰქონდა განეხილა საკითხი გიმნაზიის მართვა-გამგებლობის შესახებ, 2) გადაგირავება საზოგადოების სახლისა, რომელიც იმყოფება ტფილისში, განოვის ქუჩაზე. 1007

ახალი გრანდიოზული
ცირკი
ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ახლო, საკუთარი, ახლად შეკეთებ. კაპიტალური **საზამთრო შენობა, ტელეფ. 19.00**

დღეს, 12 იანვარს, გაიმართება

ექსტრა-ორდინალური წარმოდგენა

საზღვარ გარეთელ საუკეთესო არტისტების მონაწილეობით, სტახტო პროგრამა. დღეს პირველი გასტროლია ინგლისელ მშვენიერ ქალების, დების **ვარინგტონებისა**, რომელთაც ბურთ ადამიანებს უწოდებენ. გასტროლები გენიოსი [illegible] წლოვან ფენომენის, **ვალოდია ზუბრიცკისა.** მთელი სატახტო **ქალაქის** პრესა ლაპარაკობს საკვირველ ბავშვზე მონაწილეობენ აგრეთვე ყველა გასტროლიორები.

ანონსი: კვირას, 15 იანვარს 2 წარმოდგენა. დღისა იწყება 1 ს. **ვალოდია ზუბრიცკის** მონაწილეობით. ბავშვები 10 წლამდე უფასოდ.

წაიკითხეთ აფიშები.

ექიმი
ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს ახალ ბინაზე, საღამოს 6—7 საათამდე, კვირა დღის გარდა.

[illegible] მოედანი, ექიმი [illegible] ანკის სახლი. იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. ტელეფონი 5—54. 1144

ექიმი
ქ. ა. მიქელა[illegible]

მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 171.

ექიმი კბილისა
ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 საათ. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 1. კირპიჩნი ქუჩის შესახვევის 21.

საექიმო კაბინეტი ექიმ
კ. ს. ფონ-ირტელისა

სპეციალისტი ქირურ., საშარდე-საშვილ., სიფილისის, ვენერიული და კანის (გასივება, ბუასილი, უკაცობა, შედეგი ონანიზ. და სიფილ., თირკმლების ავადმყ.), **წამლობა სიფილისისა ერლიხის პრეპარ. „914“** და „606“ და ელექტრონით. ორივე სქესის ავადმყოფებს იღებს 9—12 ს. და საღ. 4 8 ს. მიხეილის ქ. 126 შესავ. კრილ. ქ. 1, მეორე კარი. 1352

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი

იღებს ავადმყოფთ დილის 12 2 საათ.
[illegible]

ექიმი
გ. გ. [illegible]

ვენერიულ, კანის, ათაშანგის და მისი შედეგებისა. წამლობა „606“ და „914“ პრეპარატებით. ავადმყოფები მიიღება ყოველ-დღე საღ. 5½ ს.-დან 8 ს.-მდე. მიხეილ. ქ. № 33. ტელ. 16—17. 457

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის
დოქტორი
გ. გ. მეჰრაბიანცი

შინაგან ავადმყოფობა—[illegible] გულისა. ახალს რენტგენ-ელექტრ. კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა X სხივებით, აგრეთვე ყოველგვარი **ფიზიოთერაპიით** და ელექტრონით. თავის დუში ვენის ტიპისა, დიდი სოლონოიდი, **განსაკუთრებული ნაკადები დ'არსონვალისა ფილტვების სნეულებისათვის,** გულის ავადმყოფობისა, არტერიოსკლეროზის, თირკმლების და ღვიძლის სნეულებ. სისხლის ნაკლებობისა, უძილობისა, ხერხემლისა სისუსტის, ასთმისა, ბუასილის და რევმატიზმის დროს. ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილს 9—1 ს.-დე და საღ. 5 7 ს., **ბებუთოვის ქ., № 28, ტელეფ. № 7—92** 268

ექიმი
ბ. მ. მუხაძე

იღებს სალოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა.

მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ, სახლი სვანიშვილისა. **ტელეფ. 5—77.** 1059

ექიმი
კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათ. კვირა დღის გარდა.

ქსენიევის ქუჩა **№ 4.** სასტუმრო ვეტცელის გვერდით ტელეფ. 15—00.
1271

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსის. **ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყ.-დღე საღ. 5—6 ს. კვირა დღის გარდა. 1060

ექიმი
მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყოფილი ორდინატორი თერაპევტიული კლინიკებისა, ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტისა. შინაგანი სნეულებანი: **გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად.** იღებს საღ. 5—7 ს.-დე, ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროსპ., **№ 36,** მეორე სართული. 1061

ექიმი ქალი
ს. ზ. მირზოევა

უფროსი ორდინატორი ტფილისის თვალთა სამკურნალოსი.
იღებს თვალებით ავადმყოფთ ყოველ-დღე ნაშუადღევის 1½—3½ საათამდე, კვირა დღის გარდა.
სერგიევის ქუჩა, № 1.
ტელეფონი № 16—67. 1409

ექიმი
თიკანაძე

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი კიროჩნი ქ. 18. 1391

ტფილისი, 12 იანვარი 1917 წ.

ვილსონის ახალი ნოტა.

დეპეშათა სააგენტოს ცნობით 9 იანვარს პეტროგრადში ამერიკის ელჩს რუსეთის გარეშე მინისტრისათვის გადაუცია ვილსონის მეორე ნოტა, რომელსაც დართული ჰქონია ის განცხადებაც, პრეზიდენტს ვილსონს შეერთებულ შტატების სენატში რომ შეუტანია ახლანდელი ომის და მოსალოდნელ ზავის თაობაზე. ვილსონი უპირველესად ყოვლისა აღნიშნავს, რომ როდესაც საზავო წინადადებით გამოვდივარ—ამას მაიძულებს ჰუმანობა, სურვილი კაცობრიობისათვის საშინელ სისხლის ღვრის და უბედურების მოსპობისა. მაგრამ პოლიტიკაში გრძნობებს ძლიერ ნაკლები ადგილი აქვთ. ვილსონის ნოტა მოითხოვს ზავის ჩამოგდებას არა სენტიმენტალურ გრძნობების და კეთილ სურვილთა გამო, არამედ მიტომ, რომ „ომი სხვა ნეიტრალურ სახელმწიფოებთან ერთად სხვათა შორის ეხება შეერთებულ შტატების ცხოველ ინტერესებსაც“. ამერიკამ უკვე იმდენად ისარგებლა ომის გარემოებით, რამდენიც შეიძლებოდა. აუარებელი ოქრო დაგროვდა ამ ქვეყანაში და უკვე დადგა ისეთი მომენტი, როდესაც ამერიკა ფულის გამრავლებისა და ნივთიერებათა ნაკლებობის გამო უომრად ისეთს მდგომარეობაში ჩავარდებოდა, რანაირშიაც თვით მეომარნი არიან. აი, სწორედ ამ გარემოებამ აიძულა ამერიკა საზავო წინადადებით გამოსულიყო. პირველს მის წინადადებას ორთავე მხარემ უპასუხა, მაგრამ ორთავემ ძალიან გაურკვევლად, საერთო ფრაზებით. ამერიკა ახლავე ცდილობს მომავალი განსჭვრიტოს, რადგან როგორც ნოტაშია ნათქვამი ამერიკისათვის „სულ ერთი როდია, რა პირობებით და როგორ გათავდება ახლანდელი ომი“. მაგრამ უფრო საინტერესოა ის დებულებანი, რომელსაც ამერიკა ასახელებს, როგორც მომავალ საზავო მოლაპარაკების და მშვიდობიანობის საფუძვლად.

უპირველესად ყოვლისა ამერიკა აღნიშნავს, რომ ომის შემდეგ არავინ უნდა დარჩეს დამარცხებული, ვინაიდან აქ თანასწორობა დაირღვევა: გამარჯვებული თავს მოახვევს დამცირებულს, დაჩაგრულს, დამარცხებულს მხარეს თავის პირობებს. ხოლო ნამდვილი სამართლიანობის და თანასწორობის დამყარება, რომელსაც ორთავე მებრძოლი მხარე ებრძვის, შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ აღიარებული იქნება თანასწორობა დიდთა და პატარა სახელმწიფოებისა, თანასწორობა დიდთა და მცირე ერებისა. საჭიროა ყველა ერი მოერიდოს კავშირების შეკვრას, რათა ამით არ გამოიწვიოს მეორეთა შური და მეტოქეობა. საჭიროა მიღება მონროეს ნორმისა, რომლის ძალითაც ყოველ ერს უნდა მიენიჭოს თავისუფალ თვითმართველობის უფლება, უფლება იმ გზის არჩევისა, რომელიც უზრუნველჰყოფს ერის განვითარებას. ყოველი მართველობა უნდა ემყარებოდეს ქვეშევრდომ ერის სურვილებსა და მისწრაფებებსა. და ბოლოს საჭიროა შეიარაღების შემცირება, ჯარის და ფლოტის გადაქცევა მხოლოდ მშვიდობიანობის დამცველ ძალად და სხვ.

აქ გამოთქმული დებულებანი ძლიერ საგულისხმო და ყურადსაღებია. დღეს ყველა ლაპარაკობს ერის უფლებას და ერთა თანასწორობასა. მაგრამ ეტყობა ოთხთა შეთანხმებაც, ცენტრალური სახელმწიფოებიც უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ იმ ერების მდგომარეობას და უფლებრივად სხვებთან გათანასწორებას, რომელთაც უკვე აქვთ თავიანთი სახელმწიფო. თუმცა ნოტებში ლაპარაკი იყო სლავიანებსა, სლოვაკებსა და სხვათა შესახებ, მაგრამ ოთხთა შეთანხმების სახელმწიფონი ჩამოსთვლიდნენ მხოლოდ იმ ერებს, რომელნიც დაჩაგრულნი არიან მოწინააღმდეგე სახელმწიფოთაგან. მშვიდობიანობა, სამართლიანობა და კაცთა შორის თანასწორობა მხოლოდ მაშინ იქნება, როდესაც აღიარებულ იქნება საზოგადოდ ერის უფლება, როგორც პრინციპი, უფლება ყველა ხალხისა ნამდვილად თავი თვისი თვითონვე ეყუდნეს. მაგრამ ახლანდელი ქვეყნის ბატონები, დასთანხმდებიან ამას? საეჭვოა.

მაგრამ ვილსონის ნოტა თავის თავად მაინც დიდ-მნიშვნელოვანი, და ყურადსაღებია. თუ ომის პროცესმა იმის ნაწილი მაინც განახორციელა რაც ვილსონის ნოტაშია მოხსენებული, უეჭველია ეს დიდი საქმე იქნება და კაცობრიობა ერთს ნაბიჯს გადასდგამს სამართლიანობის სამეფოსაკენ.

ვნახოთ, რას და როგორ უპასუხებენ მებრძოლი მხარეები ვილსონის ამ ახალ ცდას.

ქართული პრესა

როგორც მოსალოდნელი იყო, ზოგიერთმა ვაჟბატონმა ხელი მიჰყო ჭორების გავრცელებას ნ. მარის ლექციის შესახებ. აკადემიკოსმა სხვათა შორის თავის ლექციაში ყურადღება მიაქცია სომხურს სიტყვებსა და ძირებს ვეფხის ტყაოსანში და ეს იმით ახსნა, რომ რუსთველი მესხი იყო, ხოლო მესხები და სომხები მონათესავე ტომებია, და ამიტომ ბუნებრივია, რომ პოემაში სომხური სიტყვები შეგვხვდება.

აქედან ბ. გვაზავას შემდეგი უცნაური აზრი დაუსკვნია (საქართველო):

> მესხები სომხურთან მონათესავე ენაზე ლაპარაკობდნო,—მერე?.. ერთი ნაწილი გაითქვიფა სომხობაშიო,—მერე?.. მესხეთი სომხეთის საზღვარზე ჰდევსო,—მერე?.. რაღა მერე, სდუმს აკადემიკოსი, მაგრამ მისი დუმილი და სახის შემცოდე გამომეტყველება ცხადად ამხელს მის გულის წადილს: იგი ებღაუჭება რუსთაველს, ჰცდილობს როგორმე შეითრიოს იგი სომხეთის ისტორიის ფარგლებში. ლამის ქულაჯა ჩამოახიოს...

ყოვლად შეუწყნარებელია ასეთი გადამახინჯება სხვისი შეხედულებისა. თუ ბ. გვაზავას პატივცემული მეცნიერის განქიქება და დამცირება მოუწადინებია, ფუჭია სრულიად მისი შრომა. მისი ნაწერი მხოლოდ დამწერს ამცირებს და ამტკიცებს ავტორის უძლურებას.

ბ. გვაზავას „ისტორიული“ პუბლიცისტიკა ძალაუნებურად მოგვაგონებს კრილოვის ერთს იგავს...

ომის გარშემო

ომის დღიური

ვილსონი ზავის იმედს მაინც არ ჰკარგავს და დეკლარაციით მიუმართავს სენატისადმი. ვილსონის დეკლარაციის ერთი ადგილი სტრატეგიისათვის მეტად საყურადღებოა. ვილსონი ამბობს, რომ ზავი გამარჯვებულის მიერ კი არ უნდა იყოს ნაკარნახევი, არამედ თანასწორ უფლებობის შედეგი, ე. ი. გაიმარჯვებ თუ დამარცხდები მაინც არავითარი უპირატესობა არ მოგეცემა და არ წაგერთმევა, ზავის შეკვრის დროს. არ ვიცით, სინამდვილეში როგორ უნდა განხორციელდეს ეს პრინციპი. რომელი გამარჯვებული დათანხმდება, რომ ხელი აიღოს თავის უპირატესობაზე და დამარცხებულ მოპირდაპირეს დაუთმოს ყველაფერი, რაც აუარებელი მსხვერპლით და ხარჯით მოიპოვა. მაშ რაღა აზრი ჰქონდა ომის ატეხას, ან და საზოგადოდ რა არის ომი, თუ არა ბრძოლა ახალის შეძენისათვის. აწინდელმა ომმა ისეთი საკითხები აღძრა, რომ შეუძლებელია ომამდე დამყარებულ მდგომარეობის აღდგენა, მით უმეტეს, რომ თვით ვილსონი

ზავს ისეთ პრინციპებზე აყენებს, რომ თითქმის ძირიან-ფესვიანად უნდა შეიცვალოს ძალთა განწყობილება და ვილსონის გეგმის განხორციელება, თუ კი ეს შესაძლებელი გახდება, იმდენს არსებითი ცვლილებას მოითხოვს, რომ თვით მასშივე ჩამარხულია ახალი ომის შესაძლებლობა!

მებრძოლნი კარგად გრძნობენ ამას, იგინი დარწმუნებულნი არიან, რომ ვინმე უნდა საბოლოოდ დამარცხდეს და მის ნანგრევებით უნდა აინაზღაურონ დანარჩენებმა ზარალი და დანაკლისი. „სტატუს კვოს“ აღდგენა წარმოუდგენელია და აგრეთვე წარმოუდგენელია გამარჯვებულის ფსიხიკის დეკლარაციებით შეცვლა.

ვილსონის მოღვაწეობა საზოგადოდ ზავის საკითხში იმდენად საყურადღებოა, რამდენად იგი გავლენას იქონიებს მებრძოლთა მოქმედებაზე. თუ მაინც და მაინც ვილსონს გადაწყვეტილი აქვს რაიმე კონკრეტული ზომა მებრძოლთა დაყოლიებაზე, თუ ვილსონი კვლავ ხაზს გაუსვამს, რომ ამერიკა და ნეიტრალური სახელმწიფონი დაინტერესებულნი არიან ომის ძალე დამთავრებით, მაშინ იგი, თუ კი მებრძოლნი ამას ანგარიშს არ გაუწევენ, იძულებული იქნება დეკლარაციების მაგიერ რაიმე რეალურ საშუალებას მიმართოს და სტრატეგიისათვის ვილსონის საზავო მეცადინეობა სწორედ ამ მხრით არის საინტერესო და საგულისხმიერო.

შესაძლებელია ბოლოს და ბოლოს, ზავისთვის მეცადინეობამ უფრო გაართულოს და გააფართოოს ომი და მასში კიდევ ახალი მებრძოლი ჩაითრიოს, მეტადრე თუ ყველა ნეიტრალურ სახელმწიფომ ვილსონის აზრი გაიზიარა, რომ ზავზე მოლაპარაკების დროს არც გამარჯვებული და არც დამარცხებული, არამედ ყველა თანასწორუფლებიანი უნდა იყოსო და ზავის პირობები შემუშავებულ უნდა იქმნენ ბრძოლის შედეგის გარეშეო.

ბრძოლის ასპარეზებით თითქმის ყველგან ოდნავი სიწყნარე ჩამოვარდა. რუმინიის ასპარეზითაც კი შესუსტდა მოქმედება. მაგრამ როგორც უკვე ნათქვამი გვქონდა, ეს დროებითი მოვლენაა. „რუსკოე სლოვოს“ კორესპონდენტის ცნობით მოლდავიის ბრძოლის პირით მდ. ტროტუშის სამხრეთით მოპირდაპირე ჯარის გადაჯგუფებას შეუდგა და ჯერ არ დაუმთავრებია. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ მოლდავიის ბრძოლის პირით მოპირდაპირე ჯერ მთიდან ბარში არ დაშვებულა და სწორედ ამ გარემოებამ შეაფერხა და გააჭიანურა მოქმედება. ჯარის გადაჯგუფება ალბად იმას მოასწავებს, რომ მოპირდაპირე სადმე საკმაოდ დიდ ჯარს მოაგროვებს და შეეცდება ერთ ალაგას ბრძოლის ხაზის გარღვევას და თუ ერთ ალაგას მაინც ბარში დაეშვა, ეს უკვე მოლდავიის მთელი ბრძოლის ხაზის დატოვებას გამოიწვევს.

ი. გ—ვ—ლი.

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი, 10 იავარი. ოფიციალური. რუსეთ-გერმანიის და ავსტრიის ბრძოლის პირი. რიგას რაიონში, კუგერიინის ტბის ჩრდილოეთით გერმანელებმა, თეთრ სუდარაში გახვეულებმა, ჩვენს სადარაჯოზე იერიში მოიტანეს, მაგრამ მოვიგერიეთ. არტილერიის ძლიერი სროლის შემდეგ მოპირდაპირემ იერიში მოიტანა კალნცემის აღმოსავლეთით, მაგრამ უკუ-ვაქციეთ და დიდი ზარალიც მივაყენეთ. მდ. სტოხოდზე, სვიდნიკის და სტარი ძსორის რაიონში ჩვენმა მზვერავებმა გადალახეს მოპირდაპირის პირველი ხაზი და მეორე ხაზს მიაღწიეს. მოპირდაპირემ შეამჩნია და ასტეხა სროლა, შემდეგ ერთი როტით იერიში მოიტანა. სტარი მოსორის სამხრეთით არტილერიის სროლით შეტევა შევაჩერეთ. ბრჟეზანის სამხრეთით ჩვენი არტილერია მარჯვედ უშენდა მოპირდაპირის მომუშავეთ მიჩუშევის ტყესთან და სვისტელნიკის რაიონში, მდ. ნარაიუვკაზე.

რუმინიის ბრძოლის პირი. დუნაიმდე სროლაა, დუნაის გასწვრივ სიწყნარეა.

კავკასიის ბრძოლის პირი. მოპირდაპირის რაზმმა იერიში მოიტანა ჩვენს ჯარზე დოვლეტ-აბადის რაიონში და დაიპყრა კახან-შერიფ-აბადის ხაზით გირმიქუხის მთა (დოვლეტაბადის ჩრდილო-აღმოსავლეთით) ჩვენმა ჯარმა დაიხია დოშტ-აბადის მაღლობებზე.

დასავლეთის ასპარეზი.

პარიჟი, 9 იანვარი. ცნობა სალამოთი. დღემ მშვიდობიანად ჩაიარა, გარდა მაასის მარჯვენა ნაპირისა, სადაც არტილერიის სროლამ მკაცრი ხასიათი მიიღო დუომონის და კარიერის ტყის რაიონებში, აგრეთვე ვოგეზში შაპელოტთან.

ლონდონი, 10 იანვარი. ცნობა 9 იანვარს სალამოთი. გუშინ სალამოს არასის ჩრდილოეთით გერმანელებმა იერიში დააპირეს, მაგრამ სროლით უკუ-ვაქციეთ. აგრეთვე ვერას გახდნენ გერმანელები პლეგსგერტის ჩრდილო-აღმოსავლეთით. გრანკურის, ნევილსენვაასტის, ფოკისარის და ვეისხოოტეს რაიონებიდან ჩვენმა მზვერავებმა ტყვეები მოიყვანეს. სომას ჩრდილოეთით სერის და პლეგსგერტის რაიონში არტილერიის სროლა სწარმოებდა. არასთან ჩვენმა მძიმე არტილერიამ მოპირდაპირის პოზიციაზე აფეთქება მოახდინა.

ამერიკის ახალი ნოტა

პეტროგრადი, 9 იანვარი. სალამოს ამერიკის ელჩმა პეტროგრადში გარეშე საქმეთა მინისტრს გადასცა ნოტა, რომელსაც თან მოაყოლა ვილსონის დეკლარაციის ტექსტი, რომელიც წაკითხულ იქმნა ჩრდილო-ამერიკის შტატების სენატში 9 იანვარს ნაშუადღევის 2 საათზე. თავის დეკლარაციაში ვილსონი ემყარება ჰუმანიურ მოსაზრებას და აგრეთვე ნეიტრალურ სახელმწიფოთა უფლებებს, რომელთაც ომი ხშირად ეხება. ცენტრალურმა სახელმწიფოებმა ერთხმად განაცხადეს, მზადა ვართ ჩვენს მოპირდაპირეთ კონფერენციაზე შევხვდეთ და იქ შევიმუშაოთ ზავის პირობებიო, ოთხთა შეთანხმებამ უფრო გარკვეული პასუხი მოგვცა, მართალია ზოგადად გამოთქმული, მაგრამ მაინც საკმაოისია, რომ გავიგოთ რა გარანტიას, რაგვარ მორიგებას და რის დათმობას მოითხოვენ, რომ ზავი მათთვის შესაძლებელი გახდეს. ამრიგად შესამჩნევად მიუახლოვდით ზავზე მოლაპარაკებას. ვილსონის აზრით ამერიკას ეხლა საშუალება ეძლევა აღასრულოს თავის მოვალეობა კაცობრიობის წინაშე, ამისთვის ამერიკელები მომზადებულნი არიან მთელი თავის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებით იმ დროიდან რაც ახალი ნაცია შექმნეს. კაცობრიობის კეთილდღეობის დამყარებისათვის მოვალენი ვართ მთელი ჩვენი ძლიერება შეუერთოთ დანარჩენ ერების პრესტიჟს და ძლიერებას. რათა უზრუნველვყოთ ქვეყნისათვის მშვიდობიანობა და სამართლიანობა. ჩვენმა მთავრობამ პირდაპირ უნდა განაცხადოს ის პირობები, რომელთა მიხედვით მას შეუძლიან ხალხს დასტური მოსთხოვოს მშვიდობიანობის კავშირში შესვლისათვის. აწინდელი ომი უნდა დამთავრდეს, მაგრამ ჩვენ უნდა განვაცხადოთ, რომ თუ კი მივიღებთ მონაწილეობას მომავალში მშვიდობიანობის დაცვაში, ჩვენთვის სულერთი არ არის რა პირობებში დამთავრდება იგი ომი. ჩვენ ხმა არ გვექნება ამ პირობების შემუშავებაში, მაგრამ დარწმუნებულნი ვართ უფლება გვექნება ავწონ-დავწონოთ ის გარანტიები, რომელნიც მშვიდობიანობის უზრუნველყოფისათვის იქნებიან დადებულნი. ჩვენი აზრი ამ გარანტიებზე ეხლავე უნდა იყოს გამოთქმული, თორემ მერე გვიანღა იქნება. ზავის საფუძველმა უნდა დააკმაყოფილოს [illegible] ამერიკის სახელმწიფოებისათვის. მომავალი ზავი და მთელი მსოფლიო პოლიტიკა შემდეგით განისაზღვრება: დღევანდელი ომი მკვიდრ და მტკიცე მშვიდობიანობის მაძიებელია, თუ იგი მხოლოდ ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთ შორის ახალი თანასწორობის დამამყარებელია? ევროპაში მტკიცე ცხოვრება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც მშვიდობიანობაა. აქ თანასწორობა და არა, მეტოქეობა და ქიშპობა არამედ ძალთა შეერთება და ნამდვილი მშვიდობიანობაა საჭირო. პირველი მოთხოვნილებაა, რომ ზავი ერთ ერთ მებრძოლის გამარჯვებაზე არ იყოს აშენებული. გამარჯვება ძალით დააკისრებს დამარცხებულს პირობებს. ასეთი ზავი დამარცხებულს დამცირებას, ძალმომრეობას და შეურაცხყოფას უქადის და მწარე მოსაგონი იქნება მისთვის. ასეთი ზავი ქვიშით იქნება აშენებული. მხოლოდ ისეთი ზავი რომელიც თანასწორთა მიერ იქნება შეკრული, თანასწორობის პრინციფზე იქნება აგებული და საერთო კეთილდღეობას იგულისხმებს, მხოლოდ ასეთი ზავი იქნება ხანგრძლივი და მტკიცე. ერები სრულ უფლებიანი უნდა გახდნენ. რასაკვირველია აქ არ იგულისხმება ტერიტორიების თანასწორობა ან და ყველა იმის გათანასწორება, რაიც მშვიდობიანობის დროს ამა თუ იმ ერმა კანონიერად შეიძინა. არა, მოვითხოვთ მხოლოდ ერების უფლებრივ გათანასწორებას. დღეს კაცობრიობას თავისუფალი არსებობა სწყურიან და არა ძალთა თანასწორობა.

ყველა ამ მოსაზრებით ვილსონი წინადადებას იძლევა, რომ ყველა ერებმა მონროის დოქტრინა მიიღონ, რომელიც მსოფლიურ ნორმად გახდება საერთო შეთანხმების ძალით, რათა არც ერთი ერი არა ცდილობდეს სხვის დაჩაგვრა დამონებას, არამედ ყველა ერს თვითმართველობის უფლება მიენიჭოს, უფლება მიეცეს თავისუფლად სდიოს მის მიერ არჩეულ განვითარების გზას შეუფერხებლივ და სხვის ძალდაუტანებლივ; ძლიერმა სუსტი არ უნდა დაჩაგროს. წინადადებას ვიძლევი არც ერთმა ერმა არ შეკრას ისეთი კავშირი, რომელიც მას მეტოქეობაში ჩაითრევს, ინტრიგების ქსელში ჩააბამს და მისივე შინაურ საქმეებში არეულ-დარევას მოახდენს. მე ვურჩევ ისეთ მართველობას, რომელიც შეთანხმებული იქნება ქვეშევრდომთა სურვილთან და მოვითხოვ იმ თავისუფლების აღდგენას, რომელსაც შეერთებულ შტატების მოქალაქენი ყოველთვის გულახდილად მოითხოვდნენ. აგრეთვე წინადადებას ვიძლევი შემცირებულ იქმნას შეიარაღება, რომ ჯარი და ფლოტი მხოლოდ წესიერების დამცველი იყვნენ და არა საშუალება თავდასხმისათვის და პოლიტიკურ ძალმომრეობისათვის. სხვა პრინციპებს ვერ დაუჭერთ მხარს. ჩვენი პრინციპები ყველა თანამედროვე ერის კაცის თუ ქალის პოლიტიკური პრინციპები არიან; ეს პრინციპები მთელი კაცობრიობის პრინციპებია და სწორედ მათ უნდა გაიმარჯვონ.

ჟურნალ-გაზეთებიდან

გერმანელ ეპისკოპოზის ესპანიაში მოსვლა.

პარიზიდან „ბირჟ. ვედ.“-ის ატყობინებენ: კადიქსიდან (გრენადას ოლქი) მიღებულ ცნობით იქ ფარულად მოსულა გერმანელი ეპისკოპოზი. ეპისკოპოზს, ამბობენ, სპეციალური მისია აქვს კადიქსის ეპისკოპოზთან.

შვეიცარიის ნეიტრალიტეტი.

ფრანგულ გაზეთის „ჟურნალ“-ის სამხედრო თანამშრომელის პოლკოვნიკ ფეილერის აზრით ძნელი წარმოსადგენია, რომ გერმანიამ შვეიცარიის ნეიტრალიტეტი დაარღვიოს, რადგანაც ეს ეწინააღმდეგება სტრატეგიულს და პოლიტიკურს მოსაზრებას. შვეიცარიის ნეიტრალიტეტის დარღვევა პირდაპირ ავანტიურა იქნება და მხოლოდ გერმანიის ბრძოლის პირს 200 კილომეტრით გააგრძელებს და მის მოპირდაპირეს შვეიცარიის 250000 ჯარს მიუმატებს. გარდა ამისა გერმანია კარგად გრძნობს რა შეცდომა ჩაიდინა ბელგიის ნეიტრალიტეტის დარღვევით და ასეთ შეცდომას აღარ განიმეორებს. ბოლოს გერმანიის ეკონომიური ინტერესებიც მოითხოვენ, რომ შვეიცარიის ნეიტრალიტეტი დაცულ იყოს.

ომის ხარჯი.

უცხოეთის გაზეთების საახალწლო ნომერში ფინანსისტების ანგარიშებია მოთავსებული, რამდენი უჯდება ევროპას ომი. ამერიკელი ეკონომისტი ფრენსის ხირტი საერთო ჯამს იძლევა: 1916 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში ყველა მებრძოლ სახელმწიფოთ დახარჯული ჰქონიათ ომისათვის 375 მილიარდი ფრანკი ანუ 15 მილიარდი გირვანქა სტერლინგი (დაახლოვებით 225 მილიარდი მანეთი). 1917 წლის მარტს ხარჯი 475 მილიარდ ფრანკს მიაღწევს. ამ ფანტასტიურ თანხის ნათლად წარმოდგენისათვის საჭიროა ვიცოდეთ, რომ მებრძოლთა ოქროს ფონდი ერთობ 25 მილიარდ ფრანკს უდრის და შემნახველ კასებში აქვთ კიდევ 22 მილიარდი ფრანკი. ხირტს მხედველობაში არა აქვს მიღებული ომით გამოწვეული დანაკლისი და ზარალი: მთელი რაიონების განადგურება და ზოგჯერ მიწასთან გასწორება, სურსათის და საკვების საწყობების მოსპობა, ქალაქების და სოფლების დანგრევა და სხვა.

პრუსიის ფინანსების მინისტრის განცხადება.

კოპენჰაგენიდან „რუსკოე სლოვო“-ს ატყობინებენ: პრუსიის ლანტაგის კრებაზე ბიუჯეტის განხილვის დროს ფინანსების მინისტრმა ლენცემ განაცხადა: გვეგონა, რომ შარშანდელი ბიუჯეტი უკანასკნელი სამხედრო ბიუჯეტი იქნებოდა. ზავის იმედი ჯერ მაინც საბოლოოდ არ დაგვიკარგავს, მიუხედავად ოთხთა შეთანხმების გადაჭრილ პასუხისა. იჭვი არა გვაქვს, რომ მოპირდაპირე სერიოზულად ფიქრობს თავის მუქარის აღსრულებას, მაგრამ მაინც არაფრისა გვეშინიან. არ უნდა დავმალოთ, რომ შემორტყმულ ალყას თან და თან უფრო ვგრძნობთ. ომის შემდეგაც კი ფრთხილად უნდა ვხარჯოთ სურსათ-საკვები. მაგრამ ეხლა კი მაგრად უნდა ვიყვეთ, ამას გვკარნახებენ ეროვნული ინტერესები. ყოველ შემთხვევაში გარწმუნებთ და სიტყვას გაძლევთ, რომ გერმანიაში შიმშილით არავინ მოკვდება. ამისთვის იზრუნავს მთავრობა.

კრუპის ქარხანა.

„რუსკოე სლოვო“-ს ცნობით კრუპის ქარხანაში, მიუხედავად ზავზე ლაპარაკისა, გაცხარებული მუშაობაა. კრუპის ქარხნებში ამ ჟამად 140,000 კაცი მუშაობს, მათ შორის 15 ათასი მუშა ქალია. მუშაობენ კვირაში 7 დღეს და მუშები ორ წყებად არიან დაყოფილნი, თითო წყება დღე-ღამეში 12 საათს მუშაობს. დასასვენებლად არავის უშვებენ და ვინც დასვენებას თხოულობს ბრძოლის პირზე გზავნიან. არც ერთ ტყვეს ქარხნებში არ ამუშავებენ. კრუპის ქარხანა ყუმბარას კი არ ჩამოასხამს, არამედ პრესით აკეთებს და ეს ბევრით აადვილებს და აჩქარებს მუშაობას, ყუმბარაც უკეთესი გამოდის. ქარხანა აუარებელ ყოველგვარ ყუმბარას ამზადებს და მოწამლული ყუმბარა ხომ კრუპის ქარხნების სპეციალობაა. სულ ბოლო დროს ქარხანამ დაამთავრა შვიდი 42 სანტიმეტრიანი ზარბაზანი. ქარხნებს ჰაეროპლანების დაცემისაგან სპეციალური ზარბაზნებით იცავენ, გარდა ამისა ყველგან კაზემატებია გაკეთებული, სადაც მუშები შეეფარებიან, ვინიცობაა ქარხნებს ჰაეროპლანები დაეცნენ. ახალი ქარხნების აგებას კვლავ განაგრძობენ.

ფალკენჰაიმის მოგზაურობა.

გენერალ ფალკენჰაიმს უეცრად დაუტოვებია რუმინიის ასპარეზი და საჩქაროდ სოფიას გამგზავრებულა. აქ დაუთვალიერებია ბულგარელების ახალი ჯარი და დიდხანს უთათბირია ფერდინანდთან. ამის შემდეგ დაუთვალიერებია მაკედონიის ასპარეზის სხვა და სხვა რაიონები. როგორც ვიცით, ამის შემდეგ ფალკენჰაიმი კავალიდან ათინას მისულა და იქ მეფე კონსტანტინესთან უთათბირია. ცნობები იყო აგრეთვე, რომ ფალკენჰაიმი მაკედონიის ბრძოლის პირით მომქმედ ჯარის მთავარსარდლად დაინიშნაო.

გერმანიის უცნობი გემი.

ნიუ-იორკიდან იუწყებიან: ამას წინად ამერიკის ნაპირებთან უცბად გაჩნდა გერმანელების სავაჭრო გემი, რომელიც 8-დიუმიან ზარბაზნებით იყო შეიარაღებული. ჩასძირა რამდენიმე გემი და 400 კაცი დაღუპა. ამერიკელები მეტად აღელვებულნი არიან.

ზავის მოლოდინში.

„ვესტმინისტერ გაზეტ“-ის ცნობით, გერმანიის მართველი წრეები დარწმუნებულნი არიან, რომ ომი დიდხანს არ გასტანს და გაზაფხულით დამთავრდება. გერმანია ყველაფერს ამზადებს ომისათვის და თადარიგს იჭერს მხოლოდ 1917 წლის პირველ ხუთი თვის ანგარიშით. ჯარის უფრო-

---

წლის ნაკვთები

(მიმოხილვა 1916 წ. სიტყვა-კაზმულ მწერლობისა.

(შემდეგი*)

ჩვენს ახალ პოეზიას განსაკუთრებით ენათესავება სევდა. ნ. ბარათაშვილიდან მომდინარეობს იგი მრავალ სხვა და სხვა ფორმითა და ძლიერებით. აშკარაა, ჩვენი ცხოვრების განსაკუთრებული პოლიტიკური ხასიათი გადაჰკრავს ამ უნუგეშობის იერს მგოსანთა სათუთ აპარატს გრძნობისას. საქართველოს აწმყოს უნუგეშო სურათია მძიმედ რო დასწოლია მათ გულს და ღონეს. ძველია ეს მოტივი ჩვენს პოეზიაში, მაგრამ ძველია ეს კითხვაც და მისი სიცხოველე უფრო ვითარდება და იზრდება. ჩვენ გადავიტანეთ საშინელი კატასტროფები რევოლუციისა, რეაქციისა, დღეს ყველაზე უსაშინელესს ვხედავთ და ყოველთვის აქტიურად გამოვდიოდით. პატარა ერისაგან მეტი მსხვერპლის წარმოდგენაც კი ძნელია. მრავალი იმედი და ოცნებები დაიმსხვრა... ამის შემდეგ ვის არ უნდა ენათესაოს ჩვენი მგოსნების უნუგეშო ცრემლები. მათ თვალები ამოეწვათ, ფრთები დაელალათ და დაჭრილ მკერდიდან სისხლი მოსჩუხჩუხებთ. უმწეო სურათი ძველებურად გაშლილა მის წინაშე. და გამოიწვრთნა, გაიწაფა თითქოს ამ მუდმივ ვარამში დღეის ქართველის სული და სრულიად ბუნებრივია ჩვენთვის პოეზიის ნაღვლიანი კილო, ლირიული ტონები. თითო ოროლას მხიარულება და ცქრიალი თითქოს დისონანსად იჭრება ამ წუყდიადში... შევიყვარეთ ჩვენი მწუხარება, ჩვენი მშობლის ცრემლები გულზე მძივებად დავიბნიეთ... მაგრამ დადგა დრო და სევდა იმდენად გაიზარდა, რომ თვითონ მთრგუნველ ძლიერების წყარო შეიქმნა. მისი ინერტული, პასიური სახე წაიშალა და თითქოს იმდენად დაგროვდა პაწია ჭურჭელში მწუხარება, რომ ბუნებრივად აღმოხეთქა და წალეკა ყოველივე. პირველად ამ სახის სევდა, სევდა წმინდა აქტიურ თვისებისა, პროტესტისა და ძლიერის ენებით აგზნებული ირ. ევდოშვილმა დასახა. უკანასკნელ ხანებში მისი ნაღველი ბასრი შეიქმნა. ევდოშვილი ისეთ დროს მოკვდა, როცა სწორ გზას მიაგნო, რათა თვისი დიდბუნებოვანი პიროვნება უნაკლოდ გაეშალა. დიდი და მოუსვენარი იყო მისი ძიებანი... და დაუღალავმა ძიებამ მწარე იარები დააშთინა მის მგრძნობიარე პიროვნებას. სული მუდამ ფეთქავდა და სიცოცხლის ჟინით იყო ანთებული. უსაზღვრო სევდამ დაისადგურა მის წიაღში, მაგრამ გაიზარდა ნაღველი და გრგვინვად და მეხად გაისმა ჩვენს მწერალთა ყრუ კვნესაში. ამდენი ალი და ვნება ჩვენს მწუხარებას არასოდეს ჰქონია თანდაყოლილი... მაგრამ დაიფერფლა ადრე, სამწუხაროდ, მგოსანი.

დიდი დანაკლისია ჩვენი მწერლობისათვის ევდოშვილის დაკარგვა, მაგრამ, ცხადია, ბოლოს მან აშკარად გაშალა თვისი ინდივიდუალობა.

ამ გზას დღეს მიჰყვება პოეტი მაყაშვილი, რომელსაც ისევე ენათესავება მძიმე სევდა მამულისა; მაგრამ ეგ სევდა არ არის უნუგეშო, სასოწარკვეთის: მასში ძლიერი აქტიობის ძარღვი სცემს:

„ატომად რომ თრთოდე სტიქიონთ
ტრიალში
გიპოვნი! გიპოვნი თვალ-ბასრი მქუ-
ხარე
თვით სიხარულშიაც უღიმო, მწუხარე!
გეწვევი ამაყი უდრეკის ქედითა!
დაგეწვავ და მით გაგწმენდ **უშრეტის
სევდითა!**
მე სევდის მეფე ვარ! ძალა მაქვს ულევი!
ნუ მებრძვი ამაოდ, რადგან ვარ უძ-
ლევი!...
ქვესკნელს რო მიმართო, ახვიდე ცად,
ჩემს სევდა-ანდამატს წაუხვალ სად“?!
(იხ. „სევდის მეფე“).

აშკარაა, ის ნაწილი ჩვენის მგოსნებისა, რომელნიც ეროვნულ ჰანგზე აჟღერებენ თვის მუზას, ადრე თუ გვიან, კ. მაყაშვილისა და ევდოშვილის გზას გაჰყვებიან, არის ერთი ზომა, რომლის იქით მწუხარება უკვე არაბუნებრივ მოვლენად ითვლება და რავდენიმედ ავადმყოფობას უნათესავდება. უეჭველია, ქართველი ერი მივიდა ამ საზღვრამდე, რომლის იქით უნაყოფო და უნუგეშო ცრემლები გულის ამრევად ხდებიან და ვეღარ ჰფონავენ ჩვენს წყლულებს. ხალხის სტიქიონი თვის გზა-ხსნილს დაეძებს, დღეს თუ ხვალ დაგროვილი ენერგია გარდაიშლება და დაიწყება განახლება ჩვენი ცხოვრების. ის, რაც აქამდე საეჭვო და პრობლემატიური იყო, დღეს მტკიცე ნიადაგად ქცეულა.

ამ იჭვებმა და უნიადაგო ოცნებამ გაზარდა ჩვენი სევდა და მის გაქარწყლების წინ, იგი, სევდაც სხვა სახეს იღებს, თვითონ მის წიაღში სცემს განახლების ძალა. ეროვნული პესიმიზმი ისტორიის არქივს ჩაბარდა. გაიჭედა ახალი ძალა თვით ამ სევდის წიაღში და სათუთი, ნაზი სტრუქტურა პოეტისა ვეღარ იტევს... ჩვენ ვდგევართ ახალ, აქტიურ, შემოქმედ სევდის წინ. მის იმ უსაზღვრო ინტენსიობის წინ, როცა იგი გიჟურ ყივილად, ან ბრძოლის ხარხარად უნდა გარდიშალოს:

„დედის კვნესა მივსებს სმენას და მი-
წამლავს ენას:
ჩემს სევდაში მე ვატარებ მთელ სამ-
შობლოს წყენას!..
წვეთი-წვეთად ის გროვდება. მწუხარე
ზღვად დგება!
**და იზრდება ჩემში მძლავრად მკვე-
თრი შურის გება!..**
ახ, ეს წყენა დიდი არი, ბალღამივით
მწარი,
**სევდის ბრძმედში იჭედება საომარი
ზარი!..**
მალე დაჰკრეკს!.. რკინის ხმითა შესძ-
რავს მთა-ბარ-მდელოს!..
ამგვარ სევდით ვუძღვნი ახალ სა-
ქართველოს!.. (იხ. „ჩემი სევდა“)

რაც ადრე იპოვის ამ გამოსავალს ჩვენი ეროვნული სევდა, მით ადვილია განკურნება დასნეულებულ ორგანიზმის. ევდოშვილი და მაყაშვილი მერცხლებია ამ განკურნვის მახარობელნი.

მაგრამ ჯერ კიდევ არ წაშლილა წარსულის უნუგეშობის სურათი. სევდა მაინც სჭარბობს; სევდა პასიური, მაგრამ ნაზი და სათუთი ლამაზად და წარმტაც ჩუქურთმებად ამომწვარი. აქ ხანდისხან ღიმილსაც ნახავთ, ბუნების ზურმუხტოვნობით ატაცებას, ქალის მშვენიერებით და ვნებით დათრობასაც, მაგრამ გულში ღრმად არის დაბუდებული ფესვმოკიდებული მწუხარება. მწუხარება მშვენიერ მუსიკად წარმოდგენილი და უსაზღვროდ ნათესაური, საყვარელი. ვერ ვიცილებთ და გულზე ხატად გვისვენია, ვით ძველ სატრფოს სურათი, რომელიც წარსულის კისკასობით ვეღარ დაგვათრობს. დღეისთვის ერთი უკანასკნელთაგანი ძლიერი გამოხმაურება ამ სევდისა ულეს ს. ფაშალიშვილია. ჩვენში აზრი დამკვიდრდა: რომ ფაშალიშვილი მოწაფეა გრიშაშვილისა. ეს დებულება მეც მეკუთვნის და კიდეც ვიკისრებ მის დასაბუთებას, რაც უნდა წინ წავიდეს ავტორი.

საქმე ის არის, რომ ამ შემთხვევაში მე მუდამ შემოქმედებითი ფორმა მქონდა სახეში და არა მოტივი. მოტივი ასეთის სევდისა ვერ ენათესავება გრიშაშვილის აქტიურ, ცოცხალ ბუნებას. ფაშალიშვილი მარტოობის, ყრუ სევდის, ლამაზი მწუხარების ლირიკოსია. უეჭველად ძლიერისა და მდიდარის გრძნობის პატრონია იგი, მაგრამ მისი სახეები ხანდისხან ნასესხევიც არის. გრიშაშვილის ფორმა აილო მგოსანმა და ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან ახალ სკოლის მიმდევარს არ შეეძლო ძველ ფორმებში ჩამოესხა თვისი სახეები. ტყვილად ჰგონია ზოგს, რომ ასეთი ვითარება ამცირებს მგოსანს... სულ წინააღმდეგ: პირველი შეეცადა სევდის მოტივი გაეხვია ახალ სტილისა და ფორმის თვალმჭრელ, მსუბუქსა და ნარნარ სახეებში. ამიტომ მისი სევდის მუსიკალობა, გ. ტაბიძესთან ერთად ძლიერის ტონებით იშლება, ფრიად ინტიმური ხდება და იდუმალ განცდას ბუნებრივად გაყვარებთ. ბევრ ახალ სახესაც შეხვდებით მის მოქნილ და ხმოვან ლექსებში, განსაკუთრებით ბოლო ხანებში უფრო აისხა ფრთები მისმა შემოქმედებამ და ავტორს ახალ პოეტებში ერთი საპატიო ადგილი აკუთვნა. დაუკვირდით რა წარმტაცად აღწერს პოეტი თვის სამშობლოს ბუნებას:

„მოსჩანს ბორცვის მოქნილ ტანზე,
ყვავილების ფარჩეული,
ია, ფირუზ დასადარი, ვარდი ლალ-
ში არჩეული,
მოსჩანს მთაცა,—რაინდივით ნის-
ლის ჩაჩქან გადაცმული
და შუბლს უმკობს მუზარადი ვერ-
ცხლისაგან ჩამოსხმული
მუსიკალობს ვრცელი მინდვრის
სილაღანე-სილივლივე,
და ირღვევა საფლავეთი... და ჩურ-
ჩულებს ყოველივე...“ (თამარ!)

გრძნობის დიდი ძარღვი სცემს ავტორში და ჭეშმარიტად სწორად აქვს ნათქვამი ერთგან, რომ ბაღჩა „ყვავილებით სავსე იყო, როგორც გრძნობით ჩემი გული“. და მის გრძნობაზე განსაკუთრებით ღრმა კვალს აჩენს წვრილმანი შემთხვევაც კი, მაგრამ მუდამ პასიურია, ნაღველის გულში ჩამკლავი, როგორლაც მას არ ენათესავება შურის ძიების, ან ვნების წყურვილით ალობა. განსაკუთრებით მჭვრეტელია ჩვენის ცხოვრების, რომლისგან მარტო სევდას თუ შეისვამს. მისი ბუნება ცხოვრებას ვერ იღებს თვის აქტიობით, მოძრაობით, რადგან თვით ამ მოძრაობაში ხედავს საშინელ უაზრობას... ეს თემა მრავალ ნაირად დაუმუშავებიათ და ცხოვრების აზრის ძიებას მრავალთათვის დაუშთენია მწვავე ტკივილები. ვინც ცხოვრება არ მიიღო, არც ცხოვრებამ იწამა და მძიმე მწუხარება დაუსადგურა გულში. თვითონ ძიება ვერ გამხდარა ავტორის მიზნად მანამ, სანამ მის საგნის იქითა მხარეს ფხიზელის თვალით ვერ დავსწვდებით:

„ბილიკი გრძელია, ცრემლებით
სველია —ზედ სხივნიც კრთებიან
მგზავრები ჩნდებიან, ხან მონად ხდე-
ბიან, ხან მეფედ სხდებიან!..
უხმობენ მაღლა ცას, შესთხოვენ
რაღაცას და ვერცკი სწვდებიან,—
და თუმცა ქრებიან, კვლავ ბევრნი
რჩებიან, არ ცოტავდებიან!“
(იხ. „მგზავრები“)

ასეთ უმწეო სურათის წინ ადამიანს ბუნებრივად შიში იტაცებს და სიცოცხლის ნიადაგი ეცლება. მთელი ცხოვრება მისთვის ვებერთელა უაზრობის განხორციელებაა და მსოფლიოს ჭეშმარიტებას ვერვინ დასწვდება. კვლევა მეცნიერების გზა აქ კატასტროფით თავდება და ფაუსტიც საშინლად

---

*) იხ. „სახ. ფურცელი“, № 768.

სებს ბრძანება მოუვიდათ, ჯარს გამოუცხადეთ, რომ ომი მხოლოდ ხუთ თვეს-ღა გასტანსო.

ჩერნოგორიის მინისტრების შეცვლა. ჩერნოგორიის მეფემ ნიკოლოზმა, რომელიც ამ ჟამად საფრანგეთში იმყოფება, დაითხოვა მინისტრ-პრეზიდენტი რადოვიჩი და მის მაგიერ მიიწვია მატანოვიჩი. დათხოვნის მიზეზი, როგორც პარიზიდან ,,რანეე უტროს“ ატყობინებენ, შემდეგია: რადოვიჩს მეფე ნიკოლოზისათვის მოურიდებლად და პირდაპირ უთქვამს: ამ ჟამად ყველა სამხრეთი სლავიანები შეერთებას აპირებენ და ამიტომ ჩერნოგორიაც უნდა შეერთდეს სერბიასთან. ჩერნოგორიის დანებებამ მეტად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა და მხცოვან მეფის სახელი გაუტეხა. ამიტომ მეფე ნიკოლოზმა და პეტრემ ხელი უნდა აიღონ ტახტზე და შეერთებულ ჩერნოგორიის და სერბიის მეფედ გამოცხადებულ უნდა იქმნას სერბიის მემკვიდრე ალექსანდრე იმ პირობით, რომ მის მემკვიდრედ დაინიშნება ჩერნოგორიის ახლანდელი მემკვიდრე დანილო. მეფე ნიკოლოზი განრისხებულა და რადოვიჩი დაუთხოვია:—შენი წინადადება არც ჩემი გვარეულობისათვის ხელსაყრელი არ არისო.

რუმინიის ასპარეზი.

,,რუსკოე სლოვო“ სწერს: ჯერ გამორკვეული არ არის—განაგრძობს მოპირდაპირე რუმინიის ოპერაციას და მდ. სერეტის ხაზის დაპყრობას შეუდგება, თუ პირიქით აქ მოქმედებას შეაჩერებს და მოუბრუნდება ახლა სარაილს. პირველ შემთხვევაში მოპირდაპირის უახლოესი საგანი რომანჯუდის რკინის გზა და მისი შტო ტერუშში-ტეკუჩიო იქნება. ტროტუშის და ფოქშანის მიმართულებით მოპირდაპირის ჯარის გადაჯგუფება კვლავ სწარმოებს და რუსის ჯარის მეთვალყურობისათვის უკვე ცხადია ამ გადაჯგუფების აზრი, მხოლოდ ამის გამოჭყლავნება ამ ჟამად არ შეიძლება. ტროტუშის რაიონიდან ავსტრიელები სულ წაუყვანიათ და მათ მაგიერ გერმანელების ჯარი მოსულა. იმავე რაიონში მრავალი რუსი ტყვე მოუყვანიათ და ამუშავებენ. რკინის გზებს და ხიდებს საჩქაროდ აკეთებენ და ასწორებენ. გერმანელებს კლდიდან კლდემდე ჩამოსაკიდებელი გზები გაუბამთ და ამ რიგად აწვდიან ჯარს სურსათს და სამხედრო მასალას. ზოგან ასეთი გზა რამდენიმე ვერსზეა გაბმული.

ახალი ამბავი

◆ **მეფის ნაცვლის წარმომადგენლის თანამდებობა.** მინისტრთა საბჭოს მიერ დადასტურდა კანონ-პროექტი, რომლის ძალითაც პეტროგრადში არსდება მუდმივი თანამდებობა კავკასიის მეფის ნაცვლის წარმომადგენლისა. მას მეფის ნაცვლის დავალებით ურთიერთობა ექნება მინისტრებთან, ცალკე უწყებებთან და აგრეთვე იმპერატორთან. წარმომადგენლის მმართველობის სამი განყოფილება ექნება: საკანონმდებლო, საფინანსო და საადმინისტრაციო. მთელი ხარჯი ამ ახალი თანამდებობისათვის ნაანგარიშევია—131,647 მანეთად.

◆ **ჯამაგირების მომატება.** ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, დღევანდელ სიძვირის გამო წ.-კ. საზოგადოების სკოლების მასწავლებელთ მოუმატოს ძირითად ჯამაგირების 50%.

◆ **ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგადოების მოსამსახურეთ** ჯამაგირები მოემატათ 15%-ით.

◆ **საკურორტო საზოგადოებაში.** შაბათს, 14 იანვარს, საღამოს 8 ს., მეფის მოადგილის კანცელარიაში კრება გაიმართება, რომელიც მოისმენს მოხსენებებს: 1. გ. ფ. ჩურსინისას ,,ლენქორანის მაზრის მინერალური წყლების“ შესახებ და 2. ი. ა. გლოტოვისას ცნობათა შემკრებ ბიუროს მოქმედების შესახებ 1916 წელს.

ამავე დღეს, ამავე შენობაში საზოგადოების წევრთა საერთო კრება გაიმართება საზოგადოების წესდების მეორე მუხლის შეცვლის საკითხის განსახილველად.

◆ **1917 წლის ხარჯთ-აღრიცხვის** პროექტი ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობამ 10 იანვარს განიხილა და მცირე ცვლილებებით დაამტკიცა. ხარჯთ-აღრიცხვა ნავარაუდევია სულ 61,825 მან. 84 კაპ. ამაში სასკოლო სექციის ხარჯთ-აღრიცხვა უდრის 22,172 მან. 40 კაპ., საადმინისტრაციოსი—32,470 მან. 43 კაპ., საბიბლიოთეკოსი—3,233 მ. 01 კ. და სამუზეუმოსი—3,530 მანეთს.

◆ **მასწავლებელთა შორის.** ტფ. გუბერნიის სახალხო მასწავლებელთა საზოგადოებას გუბერნატორმა დაუთმო ერთი ვაგონი ფქვილი და ნახევარ ვაგონი შაქარი, რომელიც განაწილებულ იქნება მასწავლებელთა შორის.

◆ **ნ. ა. ტარხაიძე.** 10 იანვარს განჯაში გარდაიცვალა ტფ. ოლქის სასამართლოს წევრი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ტარხაიძე, რომელსაც საკმაოდ იცნობდა ქართული საზოგადოება. განსვენებული მუდამ მონაწილეობას იღებდა ქართულ დაწესებულებებში და ერთხანად ტფ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის წევრადაც იყო. განსვენებულის ცხედარი გუშინ განჯიდან ტფილისის სადგურზე მოასვენეს. დღეს, 12 იანვარს, ნაშუადღევის 4 საათზე სადგურიდან ცხედარს გადმოასვენებენ ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. სადაც საღამოს 6 საათზე გადახდილი იქნება პანაშვიდი.

◆ **ხარფუხის საზოგადო კლუბში** ხუთშაბათს, 12 იანვარს, რუს არტისტთა დასის მიერ გაიმართება წარმოდგენა „თავის ბრალია“, „ნუ ეჭვიანობ“ „სიყვარულის ანბანი“ ოპერეტტი ერთ მოქ. და სხვ. წარმოდგენაზე შესვლა უფასოა.

◆ **ტფილისის საგუბერნიო სამხედრო მმართველობის განცხადება** სამხედრო საბჭომ 1916 წლის 12 ნოემბრის ჟურნალში შეიტანა შემდეგი დადგენილებანი: 1) ჯარში ახლად გაწვეულებს, სათადარიგო ჯარის-კაცებს და მოლაშქრეებს მიეცეთ ფული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თან მოჰყვებათ საჭირო საგნები: „პოლუშუბკები“, მატყლის ფუფაიკები, ნიფხვები და მატყლისავე წინდები, ისიც იმ პირობით, რომ ყველა ეს საგნები სახმარებლად გამოსადეგი იყოს, 2) ფულის მიცემის ვადად დაიდოს დრო 1916 წლის 1 ოქტომბრიდან 1917 წ. 1 თებერვლამდე, 3) მოტანილ ტანთსაცმელის ფასს შემდეგს ვაწესებთ: პოლუშუბკა—8 მ. 75 კ., ფუფაიკა ან მატყლის ხალათი 3 მ., მატყლის შარვალი 3 მ. და წყვილი მატყლისავე წინდები 58 კაპ.

◆ **ტფ. გუბერნიის სახალხო მასწავლებელთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოებამ** ახალციხიდან 128 მან. 9 კ. მიიღო. ეს ფული შეადგენს იმ საღამოს შემოსავალს, რომელიც ქ-ნს ნადეჟდა გარდავაძეს გაუმართავს ახალციხეში მასწავლებელთა საზოგადოების სასარგებლოდ.

◆ **ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგადოებაში.** მთავარმა გამგეობამ საზოგადო კრების მიერ დამტკიცებული ინსტრუქცია გუშინ განყოფილებებს დაუგზავნა.

ახალი წესდების პროექტი, რომელიც საზოგადო კრებამ მოიწონა მთავრობას წარედგინა დასამტკიცებლად.

◆ **ახალი თანამდებობა.** ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, დააწესოს ახალი თანამდებობა საზოგადოების მდივნის თანაშემწისა, რომელსაც ძირითად ჯამაგირად ექნება 1,200 მან. წელიწადში, ხოლო ამას გარდა დღევანდელ სიძვირის გამო მიეცემა 300 მან.

სოფლად და ქალაქად

ბაქო

◆ ავეტის არუტჩევმა თავის მეუღლის ხსოვნის აღსანიშნავად ხუთასი მან. შესწირა ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების ბაქოს განყოფილებას.

გორი.

◆ გორის ქართველ ქალთა საზოგადოება „მანდილოსანი“-ს გამგეობა მართავს 14 იანვარს ჩვეულებრივ ქართულ საღამოს (საკრებულო დარბაზში). დღისით 12 საათზე, ამავე დღეს გადახდილ იქნება პარაკლისი საზოგადოების უფასო სასწავლებელში. აგრეთვე ნება დართულია ამ დღისთვის ყულაბებით ფულის შეგროვება საზოგადოების უფასო სკოლის სასარგებლოდ.

დ. ხონი.

◆ დღეს არცერთ ფურნეში პური არ სცხვება უფქვილობის გამო, გამონაკლის ერთი მეთორნისა, რომელიც ოყა უვარგის პურს ჰყიდის 75 კაპ. ამ გარემოებას ბოქაულმა ყურადღება უნდა მიაქციოს.

◆ აგერ თვე უკვე დაილია დეკემბრის ნიხრის ფურცლები ჯერაც არ გამოუკრავთ.

◆ ადგილობრივმა ვაჭარმა სიმონ ელიგულაშვილმა განიზრახა ყველა ტფილისის და ქუთაისის ჟურნალ-გაზეთების „სავაჭრო“ მოწყობა. ჯერ ჯერობით მას მოსდის მხოლოდ: „თან. აზრი“, ,,საქართველო“, ,,ეშმაკის მათრახი“ და ,,თეატრი და ცხოვრება“.

◆ ქურდობა და ავაზაკობა თან და თან უფრო ვრცელდება. ამ დღეებში მენაბდეს ღამით დაეცნენ ოთხი შეიარაღებულნი და წაიღეს 50 მან.

◆ სამშაბათს 27 დეკემბერს მოხდა წ. კ. გ. საზოგადოების წლიური კრება.

თელავი

◆ რადგანაც წელიწადი გავიდა და წ. კ. საზ—ბის თელავის განყოფილების გამგეობა უნდა შეუდგეს ანგარიშის შედგენას, მისი გამგეობა სთხოვს განყ. წევრებს შემოიტანონ 1916 წლის საწევრო გადასახადი, ვინაიდან ეს გარემოება აბრკოლებს თავის დროზე ანგარიშს გაგზავნას.

◆ თელავის შემნახველ გამსესხებელ ამხანაგობაში მომუშავე პირთა სიმცირის გამო გამგეობას უძნელდება 1916 წლის ანგარიშის შედგენა, რის გამო სარევიზიო კომისიამ გადასწყვიტა შეეშველოს გამგეობას ანგარიშის შედგენაში.

◆ ამავე ამხანაგობის გამგეობამ მისწერა ახლად არჩეულ გამგეობის თავმჯდომარეს გრ. ბურჭულაძეს დაიჩქაროს ჩამოსვლა, რადგანაც საქმეები ძლიერ გართულებულია და ჰსაჭიროებს მთელ გამგეობის შემადგენლობას.

◆ ექ. გ. ავალიშვილმა სამი თუმანი და შვიდ-შვიდი მანეთი შესწირა წ. კ. გამავრცელებელ და ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებების თელავის განყოფილებებს.

თურქების პრესა

გაზეთ „აჩიკ-სოზ“-ში დაბეჭდილია წერილი რედაქციის მიმართ ბაქოს საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ-რწმუნებულის ბ. ხოსროვ-ბეგ სულთანოვისა. *)

ჩვენი უბედურების მთავარი მიზეზი ისაა, რომ ყველაფერს ცუდი თვალით ვუცქერით. ღვთის დავიწყებით, ვინმე უცნობმა, სამართლიანად იქმნება თუ უსამართლოდ, რომ პეშვი მოგვაცხოს ჩვენი საქმე გვავიწყდება და ამ საქმეს საკუთარის თვალით კი არ ვუცქერით, არამედ როგორც სხვა შეხედავს, სხვისი ინტერესი მოითხოვს.

ამის ერთს ცოცხალ მაგალითს გაზეთ „კ—სპი“-ს 287 ნომერში ვკითხულობთ. ბ. ჯ. დაღისტანი („Странное заявленіе“) დიდებული მეცნიერი შეიხის საადის ტრაპეზზე ასულა და და ჩვენ დარიგებას გვაძლევს.

ჩემ მიერ ბათომში ,,საოლქო კომიტეტში“ გამოთქმულ აზრს ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოებამ სხვა მიმართულება, შეხედულება მისცა და ისე საქვეყნოდ წარმოადგინა. ხსენებულმა საზოგადოებამ, ზოგიერთი კითხვების შესახებ ბაქოს მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოებას ფორმალურად მიმართა და მეც ჩვენმა საზოგადოებამ განმარტება მომთხოვა.

მე ეს შეკითხვის ბარათი და ბ. ჯ. დაღისტანის წერილი რაკი მხოლოდ დეკემბრის 31 მივიღე და წავიკითხე, ეხლა ორივეს საპასუხოდ ვსწერ:

არც ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამოლაშქრება მაწუხებს და არცა ჩვენი საზოგადოების შეკითხვა. და თუ რამ სამძიმოდ მირჩება, ესაა ბ. ჯ. დაღისტანის დაწერილი ,,Странное заявленіе“.

დღეს შეიძლება, ზოგიერთ შემთხვევაში, ჩვენი და ქართველების ინტერესები არ შეთანხმდეს. შესაძლებელია ჩვენი გამაცალკევებელი მიზეზებიც იყოს. მაგალითად: აჭარის, ლაზისტანისა და სხვა ადგილების საკითხი. სადაც მაჰმადიანი თურქები მოსახლეობენ, და ,,ქართველებს“ უწოდებენ. ასეთივეა ქართველების მიერ ახალციხეში ჩვენი თვალით ნანახი უკადრისი საქციელი. მათ თურქებისა და არტაანის გამოქცეულების გაქართველების გარდა არაფერი გაუკეთებიათ, როგორც დღეს არტაანში ქართულ სკოლას ხსნიან და არტაანს საქართველოს გამოუყოფელ ტერიტორიად ასახელებენ.

ბათომში აჭარლებისათვის გახსნილ თავშესაფარში, პარასკევი დღის ნაცვლად კვირა აუქმებინეს: ბავშვებს შერიეთის სუნსაც კი არ აყნოსვინებენ. არსებითად კი ეს თავშესაფარი მაჰმადიანებისათვის არის გახსნილი.

ჩვენ ესეც კარგად ვიცით, რომ ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსები მხოლოდ ქართველ მაჰმადიანებს ეხმარებიან. ამასაც ვერ დავფარავ, რომ მათ თურქების გაქართველებაც უნდათ. ამის დასამტკიცებლად შემდეგს დავასახელებთ.

ამას წინად ქართულმა საქველ-მოქმედო საზოგადოებამ ართვინის ფოსტის უმფროსისთვის ათასი მანეთი გაუგზავნა. ფოსტის უფროსს ბ. ხარაშვილსაც ,,მელლის“ ბოქაულისათვის მიუმართნია ,,მელლის“ სოფლებში ქართულად მოლაპარაკე მცხოვრებლების სია შეადგინე, რომ მათ ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ ფულები მიაწოდოს.

ჩვენ ამასაც არ ვეწინააღმდეგებით მაგრამ საქმე ამაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთმა უვიცმა თურქმა (როგორც ახალციხეში მოხდა) პურის მისაღებად ალი-ოღლიმ-ალიბეგ ჩააწერია გვარი ველი-ოღლიმ-ველიბეგ. რას უნდა მივაწეროთ ეს! თვალები რომ დავხუჭოთ, მგონი ჩვენი ხალხის წინაშე დიდი უსამართლობა, დანაშაული იქნება.

ასე და ამგვარ სხვა საკითხებში მათ საქმეთ, როცა დრო დარჩება, მოვახსენებთ. შეიძლება ჩვენ და ქართველები ვერ შევთანხმდეთ.

მაგრამ ჩვენს თურქსა და მაჰმადიან დაღისტანს რა უნდა ვუთხრათ, რომ ყველას ივიწყებს და დაახლოვებულს და კარგს ნაცნობს ცუდად იხსენიებს?!

ძლიერ კარგი იქნებოდა რომ ამ საკითხში ჩვენი პასუხისათვის მოეცადნა.

---

*) ჩვენ ცალკე მოველაპარაკებით მკითხველებს ბ. სულთანოვის წერილის შესახებ. **რედ.**

სენკევიჩი და პოლონეთი

(დასასრული *)

ამ სურათების და სახეთა შინაარსი სენკევიჩს აღებული აქვს მეთვრამეტე საუკუნიდან, როდესაც პოლონეთს ნამდვილად მხოლოდ შლიახტა წარმოადგენდა, მესვეურობდა და სრულიადაც არ ყოფილა აყვავების ხანაში. სენკევიჩი არაფერს ჰმალავს და სინამდვილეს ჰხატავს, აღნიშნავს დაცემის და გახრწნის მიზეზსაცა. რასაკვირველია, იგი უმთავრესად შლიახტის ცხოვრებას გვისურათებს, რადგან მაშინდელი ცხოვრება შლიახტისა სავსე იყო ფერადებითა და შინაარსით. მით უმეტეს, რომ სწორედ შლიახტა იყო მაშინ საპოლიტიკო თვალსაზრისით პოლონეთი. მაგრამ ყველაფერი ეს სრულიად არ ჰნიშნავს, თითქოს სენკევიჩი ცდილიყოს „ახალგაზდობის ცოდვის“ გამოსყიდვას და ხელი აეღოს თავის დემოკრატიულ მიდრეკილებაზე. მისი მიზანი ერთი იყო—დახატნა პოლონეთის სურათი მისი განკითხვის და საშინელების ჟამს. ამისთანა მდგომარეობაში იყო სწორედ პოლონეთი მეთვრამეტე საუკუნეში. შინ დაუძლურებული და საპოლიტიკო ძალებ დაქსაქსული, სოციალურ ცვლილებათა მოლოდინში მყოფ პოლონეთს—თავს ესხმოდნენ საშინელი მტრები ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით, სამხრეთით და დასავლეთით. ბევრს ეგონა, რომ დადგა პოლონეთის აღსასრულიო. და სენკევიჩმა დაგვიხატა პოლონეთი, რომელიც ებრძვის ამ სიკვდილს და დამღუპველ ძალებს. ჩვენს თვალწინ სდგებიან გმირები და მებრძოლნი, აღსდგება ხალხი, ყველგან ენერგია, იმედიანობა, აქტიობა, ბრძოლა, მომავლის რწმენა და სისხლის დუღილია. საქმე აქ შლიახტა კი არა, პოლონეთია, შლიახტას კი არა, პოლონეთს დაადგა განსაცდელის დღე, უდიდესი უბედურება დაატყდა თავს. შლიახტა, როგორც კლასი, კვდებოდა, მაგრამ ის პოლონური სისხლი, მის ძარღვებში რომ სჩქეფდა, ის პოლონური სული, მასში კიდევ რომ დარჩენილიყო—პოლონეთის ნაციონალურ უკვდავების დასაბამი იყო და იგი არ მომკვდარა. ,,ტრილოგია“ შლიახტას კი არ აქებ-ადიდებს, არამედ სწორედ ამ პოლონურ სისხლსა და სულს. ,,ტრილოგია“ თითქოს გვეუბნება: გწამდეთ პოლონეთი, რომელსაც უფრო მეტი უბედურება დასტეხია თავს. იყავით კარგი მებრძოლნი, განამტკიცეთ გულში პოლონური სულის სიყვარული და შეიყვარეთ პოლონეთის ძლიერებაო. აი სენკევიჩის ტრილოგიების აზრი და ამით იგი მართლაც ამაგრებს პოლონელთა სულს. ამ თვალსაზრისით ,,ტრილოგია“ ერთნაირი მოწოდებაა, ქადაგება, პროპაგანდა იმისა, რასაც მე-XIX საუკუნის პოლონური ლიტერატურის ისტორიკოსი პოტოცკი უწოდებს „პოლონურ სისხლისა და ხორცის შოვინიზმს“. განა ეს არ ეთანხმება იმ სულის განწყობილებას, რითაც გამსჭვალულია სენკევიჩის პირველი ნაწარმოებნი? განა მისი შემდეგი ქმნილებანი ნაციონალურ გრძნობის გაძლიერება-გაალმასების ნაყოფნი არ არიან? დიაღ, სენკევიჩი, რასაკვირველია, დემოკრატი არაა. მეტსაც ვიტყვით, იგი დემოკრატიის მტერიცაა თავის რწმენითა, მაგრამ ამის თაობაზე იგი თავის ტრილოგიაში არაფერს ამბობს. აქ სენკევიჩს მხოლოდ ერთად-ერთი პოლონეთი ეინტერესება, როგორც განსაზღვრული ნაციონალური სტიქიონი. და ეს გზა მწერლის მიერ არჩეული ეთანხმებოდა მაშინდელ დროს. ამას მოწმობს ის, რომ სენკევიჩის „ტრილოგია“ გარდაიქცა ყველაზე გავრცელებულ წიგნად პოლონეთში. „ტრილოგიას“ ერთნაირად კაცხულობდა მუშა და გლეხი, ხალხი, მასსა. ოდესღაც დიდებული მიცკევიჩი ოცნებობდა, ნეტავი ჩემი ნაწარმოებნი ხალხამდე მიაწევდესო. ეს ოცნება სენკევიჩს აუხდა ცხადად: პოლონეთში არაა სასახლე, ცოტაოდნად მდიდრის სახლი, არაა გლეხის ქოხი, ან მუშის სარდაფი, სადაც მისი ,,ტრილოგია“ არ მოიპოვებოდეს. პოლონეთის ხალხი ინსტინქტით მიხვდა, რომ პოლონეთის შლიახტა ტრილოგიაში არსებითი არაა, რომ ტრილოგია აპოთეოზია არა კლასისა, არამედ პოლონეთის, რომელიც თავისთავად უფრო ფართოა და მაღლა სდგას, ვიდრე რომელიმე ცალკე კლასი. ამ სულიერ განწყობილებაში რაღაც მისტიურია, მაგრამ ეს მართალია. არსებითად, პოლონელთა დიდ უმრავლესობისათვის პოლონეთი მართლაც რაღაც მისტიური რამაა და პოლონელის სულის ეს თვისება სენკევიჩმა მშვენივრად და სრულად გამოხატა თავის ,,ტრილოგიაში“. მართალია ეს მხარე სენკევიჩის ნაწარმოებთა სხვა ერის შვილთათვის გაუგებარია, მაგრამ ჩვენ ეს ხომ არ მოგვწონს. ჩვენ გვხიბლავს და გვიტაცებს მათი მხატვრული ღირსებები. მაგრამ უნდა ითქვას, ამ მხრით იგი ბევრად როდი აღემატება მაგალითად პრუსს, ჟერომსკის და რეიმონტს, და ერთის მხრით დაბლა სდგას მე-19 საუკუნის დასასრულის დიდებულ მოდერნისტის ვისპიანსკის მხატვრულ შემოქმედებაზე.

რად სჭირდებოდა სენკევიჩს პოლონელთა გულის გამაგრება? ამ კითხვას ავტორი უპასუხებს თავის ყველგან ცნობილ რომანებით: ,,უდოგმატოდ“ და ,,პოლონეცკების ოჯახი“. სენკევიჩს ეგონა, რომ პოლონეთში გამეფებულან ან პლოშოვსკები, უვარგისი და უქნარი ხალხი, ან პოლონეცკები, თავის დროის ,,მეშჩანები,“ ბრძოლის შნო და უნარი რომ არ აქვთ. სენკევიჩი გვიხატავს პლოშოვსკის, მის მისწრაფებებს, მის ნაზ სულიერ ორგანიზაციას, მაგრამ ენერგია და შინაარს მოკლებულს, ზედმეტად ეგოისტურს, საზოგადოებრივი მისწრაფებანი და ინტერესი რომ აკლია. სენკევიჩი თავის გმირს ერთნაირი სიმპატიით უყურებს ესმის კიდევაც მისი სულის მდგომარეობა, მაგრამ ავტორს იგი ცხოვრების ფაქტორად არ მიაჩნია და პოლონეთის იმედი ამისთანა ხალხზე ვერ დაუმყარებია. ამ რომანში სენკევიჩმა ვერ გამოიჩინა სხვა ხელოვანთა მსგავსად ფსიხოლოგიური ანალიზის სიღრმე, მაგრამ აქ მან დაჰგმო ის ინდივიდუალიზმი, რომელსაც პოლონეთის ინტელიგენციაში უკვე თავი წამოეყო. ზოგიერთ წრეებში უკვე გაბატონებულიყო. სენკევიჩს ეცოდება პლოშოვსკები, მაგრამ უსარგებლო ადამიანებად მიაჩნია. ავტორს პოლონეცკის, თავის მეჩხანურ საქმეებითა და ინტერესებით უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე პლოშოვსკის. მაგრამ არც თუ ეს ეპრიანებოდა სენკევიჩს. მათში იგი ვერ ჰხედავდა ენერგიას, ძალას, რასაც ამჩნევდა წარსულ თაობებში. შეიძლება ამით აიხსნებოდეს, რომ რომანები „უდოგმატოდ“ და „პოლონეცკების ოჯახი“ ტრილოგიაზე ბევრად დაბლა სდგას თავის მხატვრულ ღირსებებით.

„ვიდრე ხვალ უფალო“—აქაც სენკევიჩი წარსულს უბრუნდება. ამ ნაწარმოებმა სენკევიჩს მთელს ქვეყანაზე სახელი გაუთქვა. იგი გადათარგმნილია 32 ენაზე. 1906 წელს ნობელის პრემია მიიღო და საზოგადოდ რამდენიმე მილიონი ცალი გაყიდულა. მაგრამ დღეს ჩვენ ვეხებით სენკევიჩს, როგორც პოლონეთის შვილს და ამიტომ ამ რომანში ჩვენ გვეინტერესება არა ის, რამაც „ვიდრე ხვალ უფალოს“ საქვეყნო სახელი მოუპოვა. მშვენიერია ძველ რომაელთა ცხოვრების სურათები, თვალის-მჭრელია და წარმტაცი დეკორაციები, მომხიბლავია სახეები, დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს ნერონის ხანის გამოხატვა—და ამიტომ ქვეყანას არა შეეძლო გაკვირვებით და მოხიბლული არ შემდგარიყო ამ სურათის წინაშე. მაგრამ ახლა ჩვენ იგი გვეინტერესება პოლონურის თვალსაზრისით.

აქ დაპირდაპირებულია ორი მოწინააღმდეგე ძალა: გაბატონებული და ჯერ დაჩაგრული, მაგრამ მომავალი ძალა, რომელიც მთელ ქვეყანას დაიპყრობს. და იმ ბრძოლის სურათებით მაგალითებით და სულის სიმტკიცის სურათებით, იმ ღრმა სარწმუნოების გამოხატვით—სენკევიჩი აქაც ამაგრებდა პოლონელთა გულს, აქეზებდა იმედისა და რწმენისათვის. თუ პოლონეთი არ დაღუპულა მე-XVII საუკუნეში, როგორც „ტრილოგია“ გვიჩვენებს; პოლონეთმა უფრო წინად, გრიუნვალდის ველზე სასტიკად დაამარცხა გერმანელები და ეს სენკევიჩმა ,,მახვილოსნებში“ გვიჩვენა. თუ კი რწმენას, ბრძოლისათვის მზად ყოფნას დიად იდეალების გამარჯვებისაკენ მივყევართ—მაშ გულის გასატეხი არა გვქონია, მწუხარებით აღსავსე აწმყო თავისუფალ მომავლის წინამორბედია, უნდა ვიბრძოლოთ და გვწამდეს, უნდა ვიშრომოთ მოთმინებით და გულმოდგინედ თავისუფალ პოლონეთის შესაქმნელად, რადგან ,,სამშობლოს თავისუფლება—დიადი იდეალია“, რადგან ,,პოლონეთი—დიადი საქმეა“, როგორც სთქვა სენკევიჩის შემდეგ ვისპიანსკიმ.

სენკევიჩს რაიმე ახალი იდეოლოგია არ შეუქმნია, იგი რომელისამე პარტიის მეთაური არა ყოფილა, ბევრი რამ არ ესმოდა თანადროვე საზოგადოებრივ მოძრაობაში, რისთვის პოლონეთის სოციალისტური დემოკრატია უარყოფითად უყურებდა. სამხატვრო სფეროშიაც სენკევიჩს ჰყავდნენ მეტოქენი, რომელნიც ზოგიერთ შემთხვევაში იმაზე მაღლა სდგანან. მაგრამ სენკევიჩი ის მწერალი იყო, რომელმაც პოლონეთის ხალხის გული მოინადირა, შექმნა სამაგალითო საპროზო პოლონური ენა, წარსული ცოცხლად წარმოგვიდგინა და მსოფლიოს ლიტერატურაში დაიჭირა პოლონეთის წარმომადგენლის ადგილი და ქვეყნის ყურადღება მიიპყრო თავის ქვეყნისაკენ. უმთავრესად კი იგი პოლონელებისათვის იყო ნაციონალურ გრძნობის გამაღვიძებელ-გამღვივებელი იმ ქვეყანაში, სადაც ყველაზე მრავალ რიცხოვანი გავლენიანი პარტიები ისინი არიან, ვინც მეტს ყურადღებას აქცევენ ეროვნულ

---

*) იხ. „სახ. ფურცელი“ № 768.

მარცხდება; მაგრამ ადამიანი მაინც ვერ სცხრება. სიცოცხლის უშინაარსო ბდა-უბდას, მის უაზრო დენას არც თავი უჩანს და არც ბოლო.

ეს საშინელი უაზრობაა რომ ყოველ საგანს სულს აცლის და უსიცოცხლოდ გულსაკლავად ხდის:

„დაფუნჩული გული, გამარცული გრძნობა,—
ძველზე სინანული და ახალის გმობა!
უიმედო მზერა, ამაოდ ლოდინი
გატეხილი რწმენა ჰ მწარე ქვითინი,
ყალბის დაპირებით თავის მოტყუება
და ცივ ნაბიჯებით სამარის ძიება!..
მილეული სახე, უძრავი თვალები
კუბო, და სუდარა თეთრად მონავლები... (იხ. „თავი და ბოლო“)

ამ საშინელებიდან თავის დახწევა კიდევ შეეძლო მგოსანს, რომ მასში მძლავრი იყოს რაიმე სახით რელიგიური რწმენა, მაგრამ იგი ფანატიკურად გაურბის ყოველგვარ სისტემას რომელიც ცდილა მისტიურობის იერით ამოხსნას ამოუხსნელი და უმწეობიდან თავი განათავისუფლოს. მის გულს არ ეკარება:

„კუბოს გარეშემო ყალბი სივალალე,
წერაქვების ხმა და ,,ღმერთო შეგვიწყალე!“

მაგრამ პოეტს აქვს საკუთარი ნავთსადგური, იგი მის მდიდარ ფანტაზიაშია, რომელიც მშვენიერის ზღაპრებით და მოტყუილებით უთმობს გრძნობას და სულს ოდნავ შვებას აძლევს. იმდენად შევიდა საკუთარ არსებაში, რომ გარეგნული მოვლენები ჰქრილობებს თუ დააშთენენ თვის სიტლანქით თორემ სანუგეშოს ვერას მიგვრიან. უკიდურესი ინდივიდუალისტი საკუთარი ფანტაზიით ანელებს სიცხადის საშინელებას და მის მარტო ოცნების ყოფას იღებს, როგორც რეალობას. მარტო ამ ყოფაშია მისთვის საინტერესო სინამდვილე და არა ემპირიულ ქვეყანაში, საცა ადამიანის სული უძლურია მსოფლიოს გზები ამოხსნას და თვით წარმართოს თვისი ბედი.

პოეტი ამბობს:

„ზღაპრებით და ოცნებებით ვათბობთ ჩვენსა ცივ ბორკილებს
ზღაპრები და გვილხენს სულსა და საფლავთან მიგვაცილებს!“

ეს უნაყოფო ოცნებები და ზღაპრებით სულის ლხენა განსაკუთრებით ენათესავება ქართველ ინტელიგენციას წინააღმდეგ ქართველ დემოკრატიისა. იგი უმეტესად საშინელის უკიდურესობის ინდივიდუალისტია,, თუმცა თეორიებში ოცნებობს, იბრძვის და ხალხზე ზრუნავს. ფაშალიშვილმა განსაკუთრებული ნიჭით გადმოგვცა უკიდურესი ინდივიდუალიზმი დღეის ახალგაზდობისა, რომელიც საკუთარ ბუნების ანალიზით ,,მეს“ ძიებით კმაყოფილდება. გარეგან გულსაკლავ სინამდვილის ნაცვლად კი მას საკუთარი ,,ფანტასტიური ზღაპრები“ აქვს მეტად ლამაზი და მსუბუქ ფერადებით შეზავებული. ფაშალიშვილის პოეზიას ძველად უფრო აჩნდა ზოგადი ხასიათი, ეროვნული სული განსაკუთრებულის იმედებით, ბრძოლის ჟინით სცემდა მასში, მაგრამ პირადი განცდანი, სამაგიეროდ, მკრთალნი იყვნენ.

დღეს მისი ნიჭი საკმაოდ გამოირკვა და ავტორიც სისწორით მისდევს თვის გულის თქმას. ამ შემთხვევაში იგი გულწრფელია, რაიც, უეჭველია, დიდ ღირსებად ჩაეთვლება და თავისებურობას შეუნახავს.

(შემდეგი იქნება)

აკ. პაპავა

აკითხს; იმ ქვეყანაში, სადაც უმაღლესად განვითარებულა კაპიტალიზმი, მაგრამ სოციალისტურ პარტიებში სოციალ-დემოკრატია კი არაა ყველაზე ძლიერი, არამედ პოლონელ სოციალისტთა პარტია, რომელიც თავის პროგრამაში განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმავე ეროვნულ მომენტს—ამისთანა ქვეყანაში მწერალი, რომელიც ყველასათვის გასაგებ და მშვენიერ ენით, წარმტაცად და მომხიბლავი სახეებით მოუთხრობს ხალხს სამშობლოს, მისთვის ბრძოლას, მის იდეალებსა და იმედებზე, რომელიც თვითონ გამსჭვალულია ეროვნული გრძნობით—რასაკვირველია უდიდესი მნიშვნელობა ექნება და უდიდეს გავლენას მოიპოვებს. და თუ მივიღებთ კიდევ მხედველობაში, რომ 63 წლის შემდეგ ეროვნული გრძნობა მთლად ხალხს მოედო—ადვილად მიჰხვდებით, რომ სენკევიჩი უეჭველად უნდა გადაქცეულიყო ყველაზე პოპულიარულ, სახალხო მწერლად, მიუხედავად იმისა, რომ მისი სოციალური იდეალები არ ეთანხმებოდა ფართო მასისა და შეგნებულ დემოკრატიის იდეალებსა. ყოველ პოლონელის სათაყვანებელი მიზანი—პოლონეთის დამოუკიდებლობა—სენკევიჩისათვის ისევე ძვირფასი იყო, როგორც მისი მოწინააღმდეგეებისათვის. და ისიც, როგორც მოწინააღმდეგენი, თავის გზით იბრძოდა სამშობლოს საკეთილდღეოდ იმ იარაღით, რაიც მისთვის განგებას მიენიჭებია. ჭეშმარიტად თავისუფლებისათვის ბრძოლის ყოველი გზა რომს მიდის და ეს რომი არის—ეროვნული დამოუკიდებლობა.

ნ. დუბროვსკი.

თელავი 1916 წელს

კახეთის დედაქალაქ თელავის 1916 წლის საზოგადოებრივი ცხოვრება მართალია ისე არ განირჩეოდა წინა წლებისგან, მაგრამ წარსულ წელს მაინც ალსანიშნავია თელავის ცხოვრებაში ისეთი მოვლენა, რომელსაც ასე თუ ისე მნიშვნელობა აქვს და ექნება როგორც აწმყოს ისე მომავალში.

მომხმარებელი საზოგადოება.

1916 წლის დასაწყისში გაიხსნა მომხმარებელი საზოგადოების მაღაზია და თუ აქამდე ქალაქის მცხოვრებნი ჩვენი მოვაჭრეების ანაბარა იყვნენ, რომელთაც მარტო მყიდველთა ტყავის აძრობა აინტერესებდათ, ამ მაღაზიის გახსნით მომხმარებელთ საშუალება მიეცათ ზომიერ ფასებში შეეძინა და უმთავრესად საქონლის შოვნისა. შეიძლება ამ მაღაზიას სუსტი მხარეებიც ჰქონდეს, მაგრამ ეს დროებითია და გამოწვეულია აწინდელ არეული დროთი. რასაკვირველია ამ მაღაზიას დიდი მერმისი მოელის და თამამად შეუძლია, არა თუ თელავის, მთელი კახეთის ვაჭრობა ხელში დაიჭიროს.

საქველმოქმედო საზოგადოება.

სწორედ შარშან ნაახალწლევს გაიხსნა თელავში ქართულ საქველმოქმედო საზო—ბის განყოფილება, რომელმაც უმთავრესად თავს იდვა ომში გაწვეულთა ცოლშვილის მზრუნველობა და ხელის შეწყობა და ჯარის კაცებთან მიწერ-მოწერის მოწყობა. ამ საზოგადოებამ მალე დაიმსახურა ხალხის ყურადღება და თუ ვისმეს გაუჭირდა ყველა „სამადლო კასსას“, ასეთი სახელი უწოდეს, მიატანს.

ამას გარდა განყოფილება რამდენადაც შეუძლიან ეხმარება დამშეულთ და მოსწავლე ახალგაზდობას, მოთხოვნილება დიდია, მაგრამ სამწუხაროდ განყოფილებას არ შეუძლია ფართოდ გაშალოს მოქმედება უსახსრობის გამო.

წ.-კ. საზოგადოების განყოფილება.

ამ ერთად ერთ ეროვნულ კულტურულ განყოფილებას ყველა ჩვენგანი ერთნაირად უნდა უყურებდეს და, რამდენადაც ძალა შესწევს, ხელს უწყობდეს ნივთიერად და ზნეობრივად მის მოქმედების გაფართოვებას და აყვავებას. სამწუხაროდ თუ ჩაუკვირდებით წევრთა რიცხვის რაოდენობას ამის წინააღმდეგ დავინახავთ, ამ ბოლო წლებში სულ კლებულობს, მხოლოდ 1916 წელს, როცა საწევრო გადასახადი მანეთი გახდა, უფრო იკლო.

სამაგიეროდ მის სასარგებლოდ გამართული სალამოები თანდათან უფრო მეტ შემოსავალს იძლევა და ეს გარემოება სრულ იმედს იძლევა, რომ ქართველ საზოგადოებაში არის სიმპატია, რომელსაც გამოყენება უნდა და ამას მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს განყოფილების გამგეობამ შემდეგში მაინც...

ქალების საქმიანობა

ქალებს თუ ცალკე განყოფილებას ვუთმობთ, ეს იმისთვის, რომ იმათ მუშაობას ყოველთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვაძლევთ.

მაგრამ რაში გამოიხატებოდა შარშან თელაველ ქალების საქმიანობა? ვიცი, ჩვენი ქალები სიტყვას დამასწრობენ—ბანქოს თქმა გინდაო. თითონვე მიმიხვდნენ, რომ ფრაპი და რამსი კარგს არაფერს მოასწავებს და ეს ფრაპის არშიყობა ისე გაუჯდათ ძვალსა და რბილში, რომ მზად არიან ყველაფერი მას ანაცვალონ...

მართალია ამ წლის ბოლოს ამათ მოიწადინეს ქალთა წრის დაარსება, მაგრამ რამდენად შესძლებენ ძალთა მობილიზაციას და გულის დადებას, ამას მომავალი წელი დაგვანახებს.

შემნახველ-გამსესხებელი ამხ—ბა.

შეიძლება ითქვას 1916 წლს მთელი თელავის ცხოვრება ამ ამხანაგობის საქმეებს შეეხეთქა. გაჩნდა ჯგუფი, რომელმაც აახმაურა პრესა, წევრთა შორის ალიაქოთი გამოიწვია, თელავის საზოგადოება ორად გაიყო, გაიმართა ბრძოლა, გამწვავდა საქმე, მოჰყვა ჩხუბი-დავიდარაბა. ბრძოლაში ჩაეშველნენ ცოლები, დედები, ქალები და ისეთი მიმართულება მიიღო, რომ მთელი საზოგადოება ერთმანეთს მტრად გადაეკიდა. შესწყრნენ-შემოსწყრნენ და ისედაც დაქსაქსული საზოგადოებრივი ძალა სულ დაიბნა.

საბედნიეროდ ასეთ ანორმალური მდგომარეობის ლიკვიდაცია დაიწყო მით, რომ დეკემბრის არჩევნებზე საბჭომ, დიდი ხნის ფიქრის შემდეგ, გამონახა ნეიტრალური კანდიდატი, გრ. ბურჭულაძე (წ.-კ. საზ. სკოლების მეთვალყურე) რომელიც ერთხმად არჩეულ იქმნა გამგეობის თავმჯდომარედ.

ქალაქის არჩევნები.

თელავის საზოგადოება რომ ამხანაგობის ბრძოლაში იყო ჩაბმული, უცბად საქალაქო არჩევნების (11 დეკემბერს) დღეც დადგა წინა არჩევნებში თუ მუშაობა—მომზადება ეტყობოდათ როგორც სომხებს ისე ქართველებს, და არჩევნების დღეს სამასზე მეტი ამომრჩეველი გამოცხადდა და ისე საშინლად დაამარცხეს ქართველი კანდიდატები, რომ წამლად ერთი კაციც კი არ გაიყვანეს რწმუნებულად, სამაგიეროდ წელს არავითარი შემზადება და კანდიდატების დასახელება არ იყო, მხოლოდ 24 თუ 25 კაცი გამოცხადდა (ამათში ერთი თუ ორი ქართველი) და აირჩიეს ვინც მოხვდათ. ქალაქის რწმუნებულად სხვათა შორის 5 ქართველია. სამწუხაროდ კარგს ვერაფერს ვიტყვით ახალ მამებზე.

დავიწყებული.

ნაწყვეტები ჩემი დღიურიდან

დეკემბერის 24

წუხელ ბრძოლა მთელ რიგის ბრძოლის პირზე არ შეწყვეტილა, აქ კი ბ...ტის ბრძოლის ხაზზე იერიშები ტყვიის მტყორცნელთა მ..ის მიმართ თან და თან უფრო ხშირდება და სასტიკი ხდება მაგრამ ჯერ კი უნაყოფოა. № პოლკმა ამ მთის გარშემორტყმა მოინდომა, მაგრამ თვით შემოვლილი იქმნა გერმანელების მიერ და იძულებული გახდა ერთი ბატალიონი შეეწირა... და კვლავ პირის პირ იერიშით გადასულიყო. დაჭრილთ რიცხვი თან და თან მრავლდებოდა, გაყინულთ რიცხვი მრავალია, ექიმები სასტიკად არიგებენ სანიტრებს. ფრთხილად მოეპყრან დაჭრილთა გაყინულს ხელ-ფეხებს, რომ უხეშის მოქცევით არ გადასტეხონ.

განუწყვეტლი ტიტინებს ტყვიის მტყორცნელი, განუწყვეტლივ წივის თოფიც და ღრიალებენ ზარბაზნები, მაგრამ ძლიერია მოჯადოვებული მთა და მედგრად დგას, ხოლო გარშემო ცვივა და ცვივა ვით შემოდგომის გამხმარი ფოთოლი, ფერმიხდილი გაყინული ჯარის კაცი. აი ორი ახალი პოლკი მიდის, რომ ან სხვებთან ერთად ჰპოვოს სიკვდილი ამ მთის ძირს ან და გაიმარჯვოს. და მართლაც ღამის 11 საათი იყო როცა მძლავრის იერიშით ამოაგდეს თავის გამაგრებულ სოროდან მძლავრი მტერი, ამოაგდეს და კავალერია დაედევნა რომ ფეხოსანთ სახელოვანი საქმე სახელოვანად დააგვირგვინოს და სწრაფის დევნით ამოსწყვიტოს, გამარჯვებული ჯარის სიხარულში მწარე კვნესაც მოისმის დაჭრილთა. სიცივეც არ ინდობს და საქმეს უჭირებს სისხლით დაცლილს მებრძოლს. თოვლი მოდის და მოდის და სცდილობს სისხლით მორწყული ველი თეთრ ზეწრით დაფაროს და ჩამარხოს ადამიანის სასტიკი საქმე. ზარბაზანი მხოლოდ დრო გამოშვებით ხარხარებს, ტყვიის მტყორცნელი ხომ ვერ მოისვენებს და ცელქად რაკრაკებს... კვნესა, ტირილი ერთ ალაგიდამ მეორეზე გადადის და მერმე მთელს შარა გზებს ედება, რა კი მიყავთ, მიდის კოჭლობით დაჭრილი, გაყინული მებრძოლი.

დეკემბრის 25.

დღეს როდესაც შობის დღით გამოწვეული სიხარული მოედო ქალაქებს და სოფლებს, ჩვენს მებრძოლთ თამამად შეუძლიანთ უდიდესის საჩუქრით—გამარჯვებით, ეს მხიარულება ბრძოლით გაორკეცონ, გაადიდონ.

თამამად შეუძლიანთ სთქვან, რომ სისხლით მოპოვებული გამარჯვება უძვირფასესი, უდიდესი საჩუქარია მათთვის ვ...ც გამარჯვება მიზნად დაუსახავს. დიახ დღეს არა ჩვეულებრივად მხიარული შობაა, შობა გაბრწყინებული მოულოდნელის გამარჯვებით.

როგორც უნდა გვეფიქრა რიგის ფრონტზე ჯდომით გერმანელებს დრო არ დაუკარგავთ და წელიწად ნახევრის განმავლობაში სიმაგრე სიმაგრეზე უშენებიათ.

სიმშვიდის დრო, როგორც ჩანს აქ თურმე გერმანელთა სხვა გვარი „არმია“ მოქმედებდა, „არმია“ შემდგარი ინჟინერებისაგან, საპიორებისა და სხვათაგან. სანგრებში აუარებელი ეგრედ წოდებული „მელიას ხვრელებია“ გაკეთებული, სადაც გერმანელთა ჯარის კაცები თავს აფარებდნენ, როცა ჩვენი არტილერია უშენდა მათ სანგრებს.

წუმპიან ალაგებში გერმანელებს უკეთებიათ ზედა სანგრები, რომლის გარე კედელი სიმაღლით 3 ადლამდის სრულიად პრტყელია და რომელსაც სუსხიან და ყინვიან დღეებში წყალს ასხამდნენ, რომ კედელი გალიპულიყო. ამ რიგად საიერიშოდ მისულ ჩვენს ჯარის კაცს მშველელი უნდა ყოლოდა, რომ სანგრებში შევარდნილიყო. სანგრების გაყოლებით პულემიოტით შემაგრებული ბლოკჰაუზები, რომლის რკინის ლიანდაგის კედლები ცემენტით არის შეკირული და რომელსაც სამ მხრივ ვიწრო სარტყელივით გარს შემორტყმული სარკმელი აქვს ტყვის საფრქვევად. შემდეგ ალაგ-ალაგ გამაგრებული ადგილებია, როგორიც იყო მაგალითად „ტყვიის მტყორცნელი მთა“. ეს მთა უფრო რომ ვსთქვათ ქვაბი გარს შემორტყმულია რგოლივით სწორ მაღლობით ისედაც ბუნებრივ სიმაგრეს წარმოადგენს. ეხლა წარმოიდგინეთ ამ მთის შუა გულში რკინის ლიანდაგების სახლები ჩაკირული ცემენტით, აქედან ცემენტისავე თხრილები გარშემორტყმული მაღლობისაკენ მიმავალი და ამ მაღლობზე კი სანგრები, ზედ დახურული რამოდენიმე რიგი რკინის ლიანდაგებით და შემდეგ ცემენტით მოლხმული. აქვე ელექტრონის სადგური, რომელიც იძლეოდა საკმაო ენერგიას ახლო-მახლო სანგრების და სიმაგრეების გასანათებლად. სალდათების სადგომები მაღალ კედლებიანი. ელექტრონით განათებული და სუფთა. აფიცრების სადგომი კი უნდა ითქვას მეტად მდიდრულად მორთულია. აქ ამ მთაზე სამუსიკო ოთახიც კი იყო, სადაც ორი როიალი იდგა. საბანაო ოთახები ცხელის წყალის დუშებით. როგორც ხედავთ გერმანელებს აქ სურდათ ის მყუდრო და მშვიდი ცხოვრება გაეჩაღებინათ, რომელიც ჩვენში მხოლოდ იქ, ზურგშია წარმოსდგენი. ყოველივე ამას, რომ მიუმატოთ იმ მკბენარა მავთულების ხშირი რიგი, რომელიც წინ უძღვის ამ სიმაგრეებს, თქვენ ადვილად წარმოიდგენთ, თუ რა ძალა დასჭირდებოდა რუსის ჯარს, რომელმაც რამდენიმე საათში არარად აქცია ეს ტიტანური ნამუშევარი მოხერხებულ მტრისა. საიერიშო „ურას“ ძახილი რამოდენიმე ათასი კაცისა შეუერთდა ტყვიის-მტყორცნელების რაკრაკს, თოფების წივილს, ყუმბარების ღრიალს და დაჭრილთა მწარე კვნესას. ჩვენი ჯარის-კაცები უმეტესად ხელით სასროლი ყუმბარებით და შტიკით უმასპინძლდებოდნენ გერმანელებს, ისინიც დამფრთხალნი მოულოდნელობით და სწრაფი იერიშებისა გარბოდნენ, მინამ გამოერკვეოდნენ და თავს აფარებდნენ ბლინდაჟებს, ბლოკჰაუზებს და „მელიას-ხვრელებს“. პირველი ხაზი ჩვენი ჯარებისა არ ცდილობდა საბოლოოდ აღებას სანგრებისა და სიმაგრეებისა, ისინი მხოლოდ ყუმბარებს ფანტავდნენ, ანგრევდნენ კარებს ბლინდაჟებისას და მიჭროდნენ, ხოლო მათ მომყოლნი აგვირგვინებდნენ კეთილს საქმეს... და აი დღემდის ჩვენი ჯარი არ შეჩერებულა: აიღეს ერთ მხრივ შემაგრებული პუნქტები კ..., ვ..., ნ.., კა.., ე... და მიუახლოვდნენ ოდ... იგთან ხიდს რომელიც გადებულია მდინარე ააზე და დაუწყეს მას მძიმე არტილერიით რღვევა; მეორე მხრივ მიუახლოვდნენ აა.ს და ხელში იგდეს კა... ცემის ხიდი, ამრიგად თუ ს...გი ხიდის აღება მოახერხეს მაშინ ამ ორს პუნქტის შუა გერმანელებს ჩაამწყვდევენ რაკი გაყინული მდინარე აა ჩვენმა არტილერიამ ამ ალაგას გაუვალი გახადა უხიდოდ... ამ სამ (23, 24, 25) დღეში გარდა ამ გამარჯვებისა, ხელთ იგდეს 2000 ტყვე, 300-დის ცხენი, ორი ჯავშნიანი ავტომობილი და რამოდენიმე სამგზავრო, 10 ათასამდე ვინტოვკა, 15 სამხედრო სამგზავრო, 21 მძიმე და 11 მსუბუქი ზარბაზნები და სხვ. და სხვა.

დეკემბერი 26.

მართალი გამოდგა, რომ წუხელ ტყვედ წამოყვანილი გერმანელები ერთხმად იძახოდნენ, გერმანელებს დიდი რეზერვი მოუვიდათო. მართალი გამოდგა რაკი დღეს ისინი სასტიკად იგერიებენ ჩვენს ჯარის მედგარს იერიშებს... თითქოს დღეს გამოერკვეულიყვნენ გერმანელები, თითქოს დღემდის ამ ბრძოლის პირზე ერთი-ორი ზარბაზნის მეტი აღარ ჰქონებოდათ-რა. დიაღ, დღეს სასტიკია მათი წინააღმდეგობა, დღეს მათი არტილერია არღვევს, აოხრებს არარად აქცევს ყველაფერს, რასაც კი ჩვენი ჯარის სახელი ჰქვიან... დღეს მათი შურისძიება უძლიერესია, დღეს ისინი კი არ გარბიან, როგორც გუშინ და გუშინწინ, არამედ იერიში-იერიშზე მოაქვთ და აი კიდევაც დაიბრუნეს გუშინ დაკარგული დაბა კ.. გაცხარებული სცემენ კ... ცემთან მდებარე ხიდს... დღეს ჩვენებს არც ერთი ტყვე არ წამოუყვანიათ, დღეს დაჭრილთა რიცხვი მრავალჯერ-მრავალია, დღეს მძიმედ დაჭრილთა რიცხვი უფრო მეტია, ვიდრე მსუბუქთა, რაკი გერმანელების არტილერია სჭექს და ჰქუხს მთელის თავის სიძლიერით. არა ხაკლებ თავგამოდებით სცდილობს ჩვენი ჯარი სისხლით აღებული ადგილები სისხლითვე დაიცვას და მედგრად უშვერს გულს მკაცრი მტრის სასტიკს იერიშებს... ტყვიის-მტყორცნელთა ტიტინი, ზარბაზანთ ბოხი ღრიალი, დაჭრილთა მწარე კვნესა და მისუსტებული ცახცახი თანდათან საზარელი ხდება, თანდათან უფრო ჯოჯოხეთური ჰხდება... სასტიკია... ცუდია დღევანდელი დღე... სუსხიანია... მრისხანეა დღევანდელი დღე... თოვლი უფრო და უფრო მოდის... სიცივე არა და არ ინდობს დაჭრილს მებრძოლს და გაუშნოვებულ თოვლზე უძლურად დაცემულს, გასისხლიანებულს ართმევს ძალას თუ კი შერჩენია...

სასტიკია, მრისხანეა დღევანდელი დღე...

ჯვებე.

მოწერილი ამბები

ს. ბაღდადი (ქუთ. მაზ.). 29 დეკემბერს აქ მოხდა მომხმარებელ საზოგადოების „ხალხის“ წევრთა პირველი საზოგადო კრება, რომელსაც 157 წევრთაგან (რომელთაც შემოტანილი ჰქონდათ საწევრო და საპაიო ფული) დაესწრო 80 წევრი. კრებას თავმჯდომარეობდა გიორგი ახვლედიანი, რომელმაც ვრცლად განუმარტა დამსწრეთ კოოპერატივის დიდი მნიშვნელობა და მიზანი. კრება ერთსულოვანი თანაგრძნობით შეეგება თავმჯდომარის სიტყვას და ერთხმად დაადგინა, გაიხსნას ბაღდადში მომხმარებელი საზოგადოება „ხალხი“, სადაც ჯერჯერობით უნდა იქნეს საბაკლო საქონლის და სიმინდის ვაჭრობა და აგრეთვე ფურნე.

კოოპერატივის გამგეობაში აირჩიეს: გ. ახვლედიანი, ნესტ. ჩხიკვაძე, სავლე გორგაძე, ალ. გურგენიძე და გ. კოხოძე. ამათ კანდიდატებად: ილ. გოგოძე, პლ. ჯიშკარიანი და სარდ. ჯიხვაძე. სარევიზიო კომისიაში: გიორგი კაპანაძე, ან. გოგუაძე, ტ. გველესიანი, ილ. მეფარიძე და იპ. ჩახუნაშვილი, ამათ კანდიდატებად—ან. ფურცელაძე და აგ. რობაქიძე. კოოპერატივში წევრთა რიცხვი შესამჩნევად მატულობს. ეწერებიან ახლო-მახლო სოფლებიდანაც.

შიმშილობა დაიწყო. ფუთი სიმინდი ბაღდადში 3 მ. 50 კ. ფასობს. ხალხი დიდ იმედს ამყარებს კოოპერატივზე.

ღვინის მოსავალი აქეთ საშუალო იყო. ღვინო კარგი ღირსების დადგა. საპალნე 130—140 მანეთად იყიდება. და აი შარშან შაბიამანის უქონლობისა და მასთან მისი დიდი სიძვირის გამო ბევრი ვენახი, განსაკუთრებით ხელმოკლე ხალხის, უწამლო დარჩა, რამაც საგრძნობელი დიდი დააჩინა მცხოვრებთა ნივთიერ მხარეს.

ახლად გახსნილ პირველდაწყებით უმაღლეს სასწავლებელს მრავალი ბავშვი მოაწყდა. ბევრი უადგილობის გამო მიუღებელი დარჩა. ქართული ენის სწავლების ნებართვა მიღებულია. განზრახულია სასწავლებელთან სამეურნეო განყოფილების გახსნა.

ქართული საქველმ. საზოგად. ქუთაისის განყოფილებამ საშობაოდ 1905 მანეთი დაურიგა ბაღდადისა და დიმის საზოგადოებათა ღარიბ-გაჭირვებულებს, თვითეულს 15 მან.

ნ.—ე

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ჯორჯაძე.

დღეს:

ახალი კლუბი. ქართული წარმოდგენა „სიმხინჯე“.

სახაზინო თეატ. ოპერა „მინიონი“.

არტისტ. საზ. რუსული წარ.

ძმ. ეფიმოვების ცირკი. საცირკ. წარმოდგენა.

ხარფუხის კლუბი. სინემატოგრაფი.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის
მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

ტფილისიდან გადის:

			ს. წ.	
ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 19,	3.19	დღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9,28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-8,	11.18	საღ.
თელავისაკენ		№ 4,	9 „	დილ.
გორისკენ	სამგზ.	№ 5,	9.10	დილ.

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10	9.52	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43	დილ.
ბაქოიდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48	საღ.
გორიდან	სამგზ.	. . .	6.34	საღ.
თელავიდან	. .	№ 3,	6.24	„

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე
(გარდა კვირისა)
დილით:
„606“ და „914“
11-12 შეშხაპუნება კონსულტაციურად

ი. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული. (სიფილის, ავადმყ.).
ზ. გ. აგახაროვი: $9\frac{1}{2}$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
ა. ბ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
საღამოთი:
ა. ნ. ახაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 6—7 ს.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ი. ა. ნავასარდიანი.**
1057

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
ნ. ვ. აბრამიანისა
საბუღალტრო კურსები
(არსებობს 1895 წლიდან).
ღებულობს მოწაფეთ ორივე სქესისას. კურსები 4 თვიანია, ყოველ დღე მეცადინეობით.
15 დეკემბრიდან დაიწყო თხოვნების მიღება. სწავლა 1917 წლის 15 იანვრიდან იწყება. პროგრამა და მიღების წესის ქაღალდი გაეგზავნებათ და მიეცემა ყველას უფასოდ კურსების კანცელარიიდან ნიკოლაევის ქუჩა № 22. ტელეფონი 7—44.
1447

თევზის მრეწველნი
ძმ. ქეზველოვები
პუშკინის ქ., საკუთ. სახლი № 9, ტელეფ. № 712.
ყოველ დღე მოგვდის ახალი ქვირითის **ხიზილალა**, სრულებით ცოტა მარილიანი, შავი „მეშოჩნი“ ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის **შემაიები**. მუდმივ გვაქვს **ცოცხალი**. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის **ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო**. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა. ხანგრძლივ ინახება.
1035

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისთვის
დასურათებული საყმაწვილო ჟურნალი
წელიწადი მეცამეტე „ნაკადული“ წელიწადი მეცამეტე
ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.
ჟურნალი გამოვა თვეში ორჯელ.
24 წიგნი „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის, 12 წიგნი „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.
ყოველი წიგნის პირველ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი.
ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა 5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით 6 მ., ნახევარ წლით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ცალ-ცალკე: მცირე-წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ., მოზრდილთათვის 12 წიგნი 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც. მამადავითის ქ. № 2. დაწვრილებით აგენტებთან. 1436

კაცობრიობის მტერი დამარცხებულია!!
სუსუნატი მორჩენილია. დადგა სანატრელი დრო,
ბოლო მოეღო
ტანჯვას.
სუსუნატი
ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს ამ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება პირველ-ხარისხოვანი „გონოზანით“ თავისი შესაზხაპუნებელით და დასალევით. ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშუალება ნაცადია ტფილისის, რუსეთისა და საზღვარ-გარეთელ ექიმებისა და პროფესორების მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.
ჩვენი გარანტია
თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და რადიკალური საშუალებაა. საშუალება ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზე და ქალებზეც. სუსუნატი გახლავთ ორნაირი ახალი და დაძველებული. ფასი ახალის სუსუნატის მოსარჩენი 22 მანეთი და დაძველებულის 35 მანეთი. ნახევარი კურსი გარე ქვეყნებში არ იგზავნება. სხვა ქალაქებში გაიგზავნება 5 მანეთის მიღების შემდეგ.
მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ **რ. შმიდტ** ტფილისი, თხინვალის ქუჩა № 12. მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მელავოის ქუჩის. 2 ნაწ.
Р. ШМИДТЪ, Тифлисъ, Тхинвальская ул. № 12. 2 уч. отд. 1—2.
პირადად ნახვა შეიძლება 2—5 საათამდე. წამალი იყიდება მთელი დღე. 1353

Дозволено военной цензурою

სტამბა „ქართლი“ მ. ი. ციციშვილისა. ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ. სემინარიის შენობაში.